

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ჯ. გრიგალაშვილი



**Arduino-ს ვიზუალური დაპროგრამება
FLProg გარემოში**

თბილისი 2015

უაკ 681.3.06

Arduino - ეს ელექტრონული კონსტრუქტორი და მოხერხებული პლატფორმაა ელექტრონული მოწყობილობების სწრაფი დამუშავებისათვის და სარგებლობს დიდი პოპულარობით როგორც ახალბედებში ასევე პროფესიონალებში, გამომდინარე ღია არქიტექტურითა და პროგრამული კოდის წყალობით. მაგრამ Arduino-ს დაპროგრამების ენა დაფუძნებულია C/C++ ენებზე, რომლებიც არაა განკუთვნილი ტექნიკური სისტემების მართვისათვის და ძნელად გასაგებია პრაქტიკული სპეციალობის მქონე ადამიანებისათვის: ელექტრონიკოსებისათვის, ელექტრიკოსებისთვის, რადიომოყვარულებისათვის, გამომგონებლებისათვის...

სახელმძღვანელოში აღწერილია Arduino-ს დაპროგრამების ალტერნატიული ინსტრუმენტალური საშუალება FLProg, რომელიც წარმოადგენს Arduino IDE-ს სრულყოფილ ვარიანტს და შეიძლება გამოყენებულ იყოს Arduino-ს ერთსახელა ელექტრონული დაფების ვიზუალური გრაფიკული დაპროგრამებისათვის.

FLProg პროგრამის მიზანია გახადოს Arduino-ს გამოყენება არაპროგრამისტებისათვის ხელმისაწვდომი, რათა მათ, ვინც ვერ ერკვევა დაპროგრამების ენების რთულ კონსტრუქციებში, შეძლონ ელექტრონული მოწყობილობების დამუშავება და დაპროგრამება. ამ მიზნის მისაღწევადკი ეს პროგრამა იყენებს სამრეწველო კონტროლერების დაპროგრამებისათვის კარგად ცნობილ სტანდარტულ გრაფიკულ ენებს FBD და LED.

სახელმძღვანელო დაეხმარება აგრეთვე მსურველებს ადვილად შეითვისონ სამრეწველო კონტროლერების დაპროგრამების უნარჩვევები და გახდნენ ჩვენი ქვეყნის საწარმოებისთვის ესოდენ დეფიციტური, სამრეწველო კონტროლერების დაპროგრამებისა და გამოყენების სპეციალისტები.

რეცენზენტები: სრული პროფესორი
ასოცირებული პროფესორი




©საგამომცემელი სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2013
ISBN: 978-5-9775-3550-2
<http://www.gtu.ge/publishinghouse/>

სარჩევი.....	3
თავი 1. Arduino UNO.....	5
1.1. ზოგადი ცნობები.....	5
1.2. მახასიათებლები.....	5
1.3. სქემა და საწყისი მონაცემები.....	6
1.4. კვება.....	6
1.5. მუხსიერება.....	7
1.6. შესასვლელები და გამოსასვლელები.....	7
1.7. კავშირები.....	9
1.8. ავტომატური (პროგრამული გადატვირთვა)	10
1.9. USB გასართის დენური დაცვა.....	10
1.10. ფიზიკური მახასიათებლები.....	11
თავი 2. საერთო ბლოკები	12
2.1. კონტაქტების ყანყალისაგან დაცვის ბლოკი	12
2.2. ალგებრა	12
2.3. UART-ში გაგზავნა.....	15
2.4. ძრავები.....	24
2.5. რეალური დროის საათები.....	26
2.6. დისკლები.....	31
2.7. სტრიქონები.....	39
2.8. მასივები	39
2.9. გადამწოდები.....	47
2.10. CD ბარათი.....	55
2.11. ტიპების კონვერტაცია.....	58
2.12. გაფართოების მიკროსქემები.....	60
2.13. ოპერაციები ბიტებზე.....	64
2.14. სხვადასხვა.....	65
2.15. EEPROM	68
2.16. კომუნიკაციები.....	70
2.17. მზა სერვისები.....	80
2.18. სამომხმარებლო ბლოკები	88
თავი 3. FBD ელემენტების ბიბლიოთეკა.....	106
3.1. ბაზური ელემენტები	106
3.2. სპეციალური ბლოკები	110
3.2. ტრიგერები.....	111
3.3. ტაიმერები	113

3.4. მთვლელები	118
3.5.მათემატიკა	125
3.6.შედარებები	127
3.7.გადამრთველები	128
თავი 4. LAD ელემენტების ბიბლიოთეკა	133
4.1. ბაზური ელემენტები	133
4.2. სპეციალური რელები	136
4.3. ანალოგური ბლოკები	146
თავი 5. პროგრამის ინტერფეისი.....	154
5.1.მენიუ „Файл”	155
5.2.მენიუ „Проект”	155
5.3.მენიუ „Инструменты”	156
5.4.მენიუ „ Настройки”	172
5.5.მენიუ «Помощь»	174
5.6.სწრაფილილაკებისპანელი	176
5.7.პროექტების ჩანართები	176
5.8.პროექტის ხე	177
5.9.პროგრამის ფანჯარა FBD ენაზე	178
5.10. FBD ელემენტების ბიბლიოთეკასთან მუშაობა	189
5.11. პროექტის სამუშაო ზონა	190
5.12. პროგრამის ფანჯარაLADენაზე.....	199
5.13. LAD ელემენტების ბიბლიოთეკასთან მუშაობა.....	201
5.14. საინფორმაციო პანელი	211
5.15. ფერადი თემების გამოყენება FLProg პროგრამაში	212
5.16. სახელდებული შეერთებების გამოყენება FLProg პროგრამაში	214
ლიტერატურა	218

თავი 1. Arduino UNO

1.1. ზოგადი ცნობები



Arduino-ს ოჯახი მოიცავს შემდეგ კონტროლერებს: Arduino UNO, Arduino Leonardo, Arduino LilyPad, Arduino Mega, Arduino Nano, Arduino Pro, Arduino Pro Mini, Arduino Micro, Arduino Mini, Arduino Diecimila, Arduino Duemilanove. ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ Arduino UNO-ს როგორც ამ დროისათვის ყველაზე ახალ და გავრცელებულ სისტემას.

Arduino UNO ეს არის კონტროლერი, რომელიც აგებულია **ATmega328** მიკროკონტროლერის ბაზაზე. პლატფორმას აქვს 14 ციფრული შესასვლელ/გამოსასვლელი (რომელთაგან 6 შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც განივი მძლავრი მოდულიაციის (გიმ) გამოსასვლელი), 6 ანალოგური შესასვლელი, 16 მგკვევარცული გენერატორი, USB გასართი, ძალური გასართი, ICSP გასართი და გადატვირთვის ღილაკი. მასთან მუშაობისათვის აუცილებელია მიუერთოთ პლატფორმა კომპიუტერს USB კაბელის საშუალებით, ანდა მივაწოდოთ კვება AC/DC ადაპტერის ანდა ბატარეის მეშვეობით.

ყველა ადრე გამოშვებული დაფისაგან განსხვავებით, რომლებიც USB-სთან კავშირისათვის გამოიყენებდნენ FTDI USB მიკროკონტროლერს, ახალი Arduino Uno იყენებს ATmega8U2 მიკროკონტროლერს.

„UNO“ გადაითარგმნება იტალიურიდან როგორც „ერთი“ და ამით მისი შემქმნელები გვაგრძობინებენ, რომ ჩქარა იქნება UNO -ს გაგრძელება Arduino 1.0.

ახალი დაფა, ანუ მხედველობაშია UNO დღეისათვის წარმოადგენს Arduino-ს მწკრივის ფლაგმანს და აქვს შემდეგი მახასიათებლები.


1.2. მახასიათებლები

- მიკროკონტროლერი ATmega328;
- სამუშაო ძაბვა 5 ვ;
- შესასვლელი ძაბვა (რეკომენდირებული) 7 – 12 ვ;
- შესასვლელი ძაბვა (ზღვრული) 6 – 20 ვ;
- ციფრული შესასვლელ/გამოსასვლელები 14 (მათგან 6 შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც გიმ გამოსასვლელები);
- ანალოგური შესასვლელები 6;
- მუმივი დენი შესასვლელ/გამოსასვლელების გავლით 40 მა;
- მუდმივი დენი 3.3 ვ გამოსასვლელის გავლით 50 მა;
- ფლემ მუხსიერება 32 კბტ (ATmega328)
 საიდანაც 0.5 კბტ გამოიყენება ჩამტვირთა-ვისათვის;
- O3Y 2 კბტ (ATmega328);
- EEPROM (ATmega328); 1 კბტ
- ტაქტური სიხშირე 16 მგჰც.

1.3. სქემა და საწყისი მონაცემები პრინციპიალური სქემა

Arduino[™] UNO Reference Design

Reference Designs ARE PROVIDED "AS IS" AND "WITH ALL FAULTS". Arduino DISCLAIMS ALL OTHER WARRANTIES, EXPRESS OR IMPLIED, REGARDING PRODUCTS, INCLUDING BUT NOT LIMITED TO, ANY IMPLIED WARRANTIES OF MERCHANTABILITY OR FITNESS FOR A PARTICULAR PURPOSE. Arduino may make changes to specifications and product descriptions at any time, without notice. The Customer must not rely on the absence or characteristics of any features or instructions marked "reserved" or "undocumented". Arduino reserves these for future definition and shall have no responsibility whatsoever for conflicts or incompatibilities arising from future changes to them. The product information on the Web Site or Materials is subject to change without notice. Do not finalize a design with this information.



1.4. კვება

Arduino UNO-ს კვების მიღება შეუძლია კომპიუტერზე მიერთებული USBკაბელიდან ანდა გარე კვების წყაროდან. გარე კვება (არა USB-დან) შეიძლება მიწოდებულ იქნას ან ძაბვის გარდამქმნელიდან AC/DC (კვების ბლოკი) ან აკუმულიატორული ბატარეიიდან. ძაბვის გარდამქმნელი მიუერთდება 2.1 მმ - იანი გასართის მემვეობით ცენტრალური დადებითი პოლუსით. ბატარეიიდან წამოსული გამტარების მიერთება ხდება კვების გასართის Gnd და Vin გამომყვანებთან. დაფის მიერ კვების წყაროს არჩევა ხდება ავტომატურად.

პლატფორმამ შეიძლება იმუშაოს 6 ვოლტიდან 20 ვოლტამდე ძაბვაზე. 7 ვ-ზე ნაკლები ძაბვის დროს 5 ვ გამომყვანზე შეიძლება გამოიციეს 5 ვოლტზე ნაკლები ძაბვა, ხოლო პლატფორმამ შეიძლება იმუშაოს არასტაბილურად. 12 ვოლტზე მეტი ძაბვის დროს ძაბვის რეგულიატორი შეიძლება გადახურდეს და მწყობრიდან გამოიყვანოს დაფა. რეკომენდირებული ძაბვის დიაპაზონია 7 ვ-იდან 12 ვ-მდე.

ძაბვის გამომყვანები:

- **VIN.** - ეს შესასვლელი გამოიყენება კვების მიწოდების დროს გარე წყაროდან (5 ვოლტის არ არსებობის შემთხვევაში USBგასართიდან ანდა სხვა რეგულირებადი კვების წყაროდან). კვების ძაბვის მიწოდება ხდება ამ აღნიშნული გამომყვანის გავლით;

- **5V.** - რეგულირებადი კვების ძაბვა, რომელიც გამოიყენება მიკროკონტროლერისა და დაფის სხვა კომპონენტების კვებისთვის. კვება შეიძლება მიწოდებულ იქნას VINგამომყვანის გავლით ან USBგასართიდან, ანდა სხვა რეგულირებადი 5 ვ-იანი ძაბვის წყაროდან;
- **3V3.** - 3.3 ვოლტის ტოლი ძაბვა გამომყვანზე. მისი გენერირება ხდება პლატაზე ჩაშენებული რეგულატორის მიერ. მაქსიმალური მოხმარების დენი 50 მა.
- **GND.** - დამიწების გამომყვანები.

1.5. მეხსიერება

ATmega328 მიკროკონტროლერში ჩაშენებულია 32 კბტ ფლემ მეხსიერება, საიდანაც 0.5 კბტ გამოიყენება ჩამტვირთავის შენახვისათვის, ასევე იქვე არის 2 კბტ O3Y (SRAM) და 1 კბტEEPROM.

1.6. შესასვლელები და გამოსასვლელები

Uno - სთვითოეული 14 ციფრული გამომყვანიდან, ნებისმიერი, შეიძლება აწყობილ იყოს როგორც შესასვლელი ან როგორც გამოსასვლელი. გამომყვანები მუშაობენ 5 ვოლტის ძაბვაზე. თვითოეულ გამომყვანს აქვს დატვირთვის რეზისტორი (რომელიც სიჩუმით გამორთულია) 20 – 50 კომის სიდიდის და შეუძლიათ 40 მილიამპერამდე დენის გატარება.

ზოგიერთ გამომყვანს გააჩნია განსაკუთრებული ფუნქციები:

- **მიმდევრობითი სალტე: გამომყვანები ნომრებით 0 (RX) და 1 (TX).** ასეთი გამომყვანები გამოიყენება TTL მონაცემების მიღებისათვის (RX) და გადაცემისათვის (TX). აღნიშნული გამომყვანები მიერთებულია მიმდევრობითი სალტის მიკროსქემის ATmega8U2 USB-to-TTL შესაბამის გამომყვანებთან;
- **გარე წყვეტები: გამომყვანები ნომრებით 2 და 3.** აღნიშნული გამომყვანები შეიძლება დაკონფიგურირდეს წყვეტების გამოძახებაზე, ან უმცროს მნიშვნელობაზე, ან წინა ფრონტზე ან უკანა ფრონტზე, ანდა მნიშვნელობების ცვლილებაზე;
- **გიმ: გამომყვანები ნომრებით 3, 5, 6, 9, 10, 11.** ნებისმიერი მათგანი ამ გამოსასვლელიდან უზრუნველყოფს გიმ-ს 8 ბიტის გარჩევადობით;
- **SPI: გამომყვანები ნომრებით 10 (SS), 11 (MOSI), 12 (MISO), 13 (SCK)** ამ გამოსასვლელების გამოყენებით ხორციელდება SPI კავშირი;
- **LED: გამომყვანი ნომრით 13.** ჩაშენებული შუქდიოდი, მიერთებულია მე-13 გამოსასვლელთან, თუ კი გამოსასვლელზე მაღალი პოტენციალია, მაშინ შუქდიოდი ანათებს.

პლატფორმა Uno -ს აქვს 6 ანალოგიური შესასვლელი (ადინიშნება როგორც A0 ... A5), თვითოეული 10 ბიტიანი გარჩევადობით (ანუ მათ შეუძლიათ მიიღონ 1024 სხვადასხვა მნიშვნელობა თვითოეულს). სტანდარტულად გამომყვანებს აქვთ 5 ვოლტიანი გაზომვის დიაპაზონი მიწასთან მიმართებაში, მიუხედავად ამისა არის ზედა ზღვრის შეცვლის შესაძლებლობა AREF გამომყვანისა და გარე საყრდენი ძაბვის ფუნქციის გამოყენებით (იხ. მენიუ «Настройка» (აწყობა)).

ზოგიერთ გამომყვანს აქვთ დამატებითი ფუნქციები:


- **I2C: გამომყვანები ნომრებით 4 (SDA) и 5 (SCL).**ამ გამომყვანების დახმარებით ხორციელდება I2C (TWI) კავშირი, რომლის შექმნისთვისაც გამოიყენება Wire ბიბლიოთეკა.

პლატფორმის დამატებითი დაწყვილებული გამომყვანები:

- **AREF.**საყრდენი ძაბვა ანალოგიური შესასვლელისთვის. (იხ. მენიუ «Настройка» (აწყობა));
- **Reset.**დაბალი დონის სიგნალის მიწოდება ამ გამომყვანზე გადატვირთავს მიკროკონტროლერს. ჩვეულებრივად იგი გამოიყენება გადატვირთვის ღილაკის მიერთებისთვის გაფართოვების დაფასთან, როდესაც იგი ფარავს ღილაკთან წვდომას თვითონ Arduino-ს პლატაზე.

მიაქციეთ ყურადღება Arduino-ს გამომყვანებს შეერთებაზე ATmega328 პორტებს შორის. (იხ. Atmega 168 Pin Mapping). ქვემოთ წარმოდგენილი პინების განლაგება შეესაბამება მხოლოდ DIP ჩიპებს.

Atmega168 Pin Mapping



Digital Pins 11, 12 & 13 are used by the ICSP header for MISO, MOSI, SCK connections (Atmega168 pins 17, 18 & 19). Avoid low-impedance loads on these pins when using the ICSP header.

ციფრული შესასვლელ/გამოსასვლელები ნომრებით 11, 12 და 13 გამოიყენება ICSP კონტროლერის მიერ MISO, MOSI, SCK შეერთებებისათვის (კონტაქტები 17, 18 და 19 ATmega 168 - სთვის). თავიდან აიცილეთ დაბალომიანი დატვირთვა ამ შესასვლელებზე ICSP კონექტორის გამოყენების დროს.

1.7. კავშირები

ArduinoUno-ს პლატფორმაში ჩაყენებულია რამოდენიმე მოწყობილობა, რომლებიც ამყარებს კავშირს კომპიუტერთან, Arduino-ს სხვა მოწყობილობებთან ანდა მიკროკონტროლერებთან. ATmega 328 მხარს უჭერს მიმდევრობით ინტერფეისს UART TTL (5 ვ), რომელიც ხორციელდება 0 (RX) და 1 (TX) გამომყვანების საშუალებით. დაფაზე დაყენებული მიკროსქემა ATmega8U2 მიმართავს აღნიშნულ ინტერფეისს USB-ს მიმართულებით და შესაძლებლობას აძლევს პროგრამებს კომპიუტერის მხრიდან დაამყაროს „ურთიერთობა“ დაფასთან ვირტუალური COM პორტის გავლით. ATmega8U2 -ში ჩაშენებული პროგრამული უზრუნველყოფა იყენებს USB COM პორტის სტანდარტულ დრაივერებს. არავითარი დამატებითი დრაივერების გამოყენება არ არის საჭირო, მაგრამ Windows ოპერაციულ სისტემებში შეერთებისათვის საჭირო იქნება ფაილი ArduinoUNO.inf.

მიმდევრობითი სალტის მონიტორინგი (Serial Monitor) Arduino-ს პროგრამის მიერ, შესაძლებლობას იძლევა მიღებულ ან გადაცემულ იქნას ტექსტური მონაცემები

პლატფორმასთან მიერთების შემთხვევაში. პლატფორმაზე არსებული RX და TX შუქდიოდები დაიწყებენ ციმციმს მონაცემთა გადაცემის დროს FTDI მიკროსქემის ანდა USB შეერთების გავლით (მაგრამ არა მიმდევრობითი გადაცემის გამოყენებისას 0 და 1 გამოსასვლელების გავლით).

ATmega328 მხარს უჭერს ინტერფეისებს I2C (TWI) და SPI.

1.8. ავტომატური (პროგრამული გადატვირთვა)

Uno-ს და მუშავებულია ისეთნაირად, რომ ახალი კოდის ჩაწერის წინ გადატვირთვა ხორციელდება თვითონ Arduino-ს პროგრამა ჩამტვირთავის მიერ, რომელიც კომპიუტერზეა დაყენებული და არა ღილაკის დაჭერით პლატფორმაზე. ATmega8U2 მიკროსქემის ერთერთი ხაზი DTR, რომელიც მართავს მონაცემთა ნაკადს (DTR), მიერთებულია მიკროკონტროლერ ATmega 328-ის გადატვირთვის გამომყვანთან 100 ნფ კონდენსატორის გავლით. ამ ხაზის გააქტიურება, ანუ დაბალი დონის სიგნალის მიწოდება იწვევს მიკროკონტროლერის გადატვირთვას. Arduino-ს პროგრამა იყენებს რა ამ ფუნქციას ღილაკზე Upload-ს დაჭერით ჩატვირთავს კოდს თვით დაპროგრამირების გარეშე. დაბალი დონის სიგნალის მიწოდება DTR ხაზზე კოორდინირებულია კოდის ჩაწერის დასაწყისთან რაც ამცირებს ჩამტვირთავის ტაიმაუტს.

ამ ფუნქციას აქვს კიდევ ერთი გამოყენება. Uno-ს გადატვირთვა ხდება ყოველ ჯერზე Arduino-ს პროგრამის მიერთებისას OC Mac X ან Linux (USB-ს გავლით) კომპიუტერთან. შემდეგი ნახევარი წამის განმავლობაში გადატვირთვის შემდეგ მუშაობას აგრძელებს ჩამტვირთავი. დაპროგრამირების დროს ხდება კოდის პირველი რამოდენიმე ბაიტის დაყოვნება, რათა თავიდან იქნას აცილებული პლატფორმის მიერ მონაცემების არაკორექტული მიღება (ახალი პროგრამის კოდის გარდა რაღაც გაურკვეველი მონაცემების). თუ კი მოხდება პლატფორმაში ჩაწერილი სკეჩის გაწყობა, ანდა რაიმე სხვა მონაცემების შეყვანა პირველი გაშვების დროს, აუცილებელია დარწმუნდეთ იმაში, რომ პროგრამა კომპიუტერში ელოდება წამის განმავლობაში მონაცემთა გადაცემის წინ.

Uno-ში არის იმის შესაძლებლობა, რომ გაითიშოს ავტომატური გადატვირთვის მიმდინარეობა შესაბამისი ხაზის გაწყვეტის გზით. მიკროსქემის კონტაქტები ხაზის ორთავე ბოლოსაგან შეიძლება შეერთებულ იქნას ადდგენის მიზნით. ხაზი მარკირებულია წარწერით «RESET-EN». ავტომატური გადატვირთვის გამორთვა ასევე შესაძლებელია თუ მივაერთებთ 110 ომ რეზისტორს 5 ვ წყაროსა და მოცემულ ხაზს შორის.

1.9. USB გასართის დენური დაცვა

Arduino Uno-ში ჩაშენებულია თვითაღმდგენი დამცველი (ავტომატი), რომელიც იცავს USB პორტს მოკლე შერთვისა და მაღალი დენებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად, ყველა კომპიუტერს აქვს მსგავსი დაცვა, მაინც აღნიშნული დამცველი უზრუნველყოფს დამატებით ბარიერს. დამცველის ამუშავება ხდება 500 მა დენზე უფრო დიდი დენის გატარებისას USB პორტის გავლით და გათიშავს წრედს მანამ, სანამ დენების ნორმალური მნიშვნელობების აღდგენა არ მოხდება.

1.10. ფიზიკური მახასიათებლები

Uno-ს ნაბეჭდი დაფის სიგრძე და სიგანე შეადგენს 6.9 და 5.3 სმ შესაბამისად. USB გასართი და ძალური გასართი გამოდიან ამ ზომების საზღვრების გართ. ოთხი ნახვრეტი დაფაში საშუალებას იძლევა დამაგრდეს იგი რაიმე ზედაპირზე. მე-7 და მე-8 ციფრულ გამოსასვლელებს შორის მანძილი ტოლია 0.4 სმ, თუმც სხვა გამოსასვლელებს შორის მანძილი 0.25 სმ-ია.


თავი 2. საერთო ბლოკები

Arduino-ს დაპროგრამირების შესწავლა FLProg გარემოში დაეხმარება სტუდენტებს გაეცნონ სამრეწველო კონტროლერების დაპროგრამირების საფუძვლებს. სამრეწველო კომპიუტერების დაპროგრამირების სფეროში უკვე დიდი

ხანია გამოიყენება FBD და LAD ენები. სხვადასხვა მწარმოებლების მიერ ამ ენების რეალიზაცია სხვადასხვაა, მაგრამ ზემოთაღნიშნული პროგრამა ძირითადად ეყრდნობა TiaPortal პროგრამას, რომელიც გამოიყენება მსოფლიოში ცნობილი ფირმის Siemens-ის კონტროლერების დაპროგრამირებისათვის. FLProg პროგრამა შესაძლებლობას იძლევა ორთავე ენაზე, ანუ FBD და LAD ენებზე დაპროგრამირების საშუალებას. ასეთი მიმართულება შესაძლებლობას მისცევს სტუდენტებს სრულიად დაუფლონავტომატიზაციის ინჟინრულ სპეციალობას, იგრძნონ ავტომატიზირებული სისტემების შექმნის სიძნელები და გამოსცადონ ის სიხარული, რაც თან სდევს ამ სიძნელების გადალახვას.

ამ თავში განხილული იქნება FLProg პროგრამის ის ბლოკები, რომლებიც საერთო იქნება ორთავე ე.ი. FBD და LAD ენებისათვის.


2.1. კონტაქტების ყანყალისაგან დაცვის ბლოკი ანდა (BOUNCE)



ამ ბლოკის დანიშნულებაა კონტაქტების გადართვის დროს წარმოშობილი ყალბი იმპულსებისაგან დაცვა. დაყოვნება რეაგირებაზე შეადგენს 40 მილიწამს.

2.2. ალგებრა

2.2.1. შემთხვევითი რიცხვი (Random)



ბლოკი გამოსცევს ფსევდოშემთხვევით რიცხვს.

შესასვლელი:

- EN – შემთხვევითი რიცხვის გენერაციის ნებისდართვის შესასვლელი. ამ შესასვლელზე მაღალი დონის (+4,5 ... +5ვ) მიწოდების შემთხვევაში, პროგრამის ყოველ ციკლში გენერირდება შემთხვევითი რიცხვი, დაბალი დონის (0 ... +0.5ვ) არსებობის შემთხვევაში კი ბლოკის გამოსასვლელზე შენაჩუნებული იქნება ბოლო გენერირებული რიცხვი;
- MIN – შემთხვევითი მნიშვნელობების ქვედა ზღვარია, მისი ჩათვლით;
- MAX – შემთხვევითი მნიშვნელობების ზედა ზღვარია, მის ჩათვლით;
- Q - შემთხვევითი რიცხვი MIN - სა და MAX-1 შორის დიაპაზონში.

2.2.2. სინუსი (Sin)



ეს ბლოკი აბრუნებს რადიანებში მოცემული კუთხის სინუსს. რეზულტატი გამოდის $-1 \dots 1$ დიაპაზონში.


შესასვლელი:

- I - კუთხე რადიანში.

გამოსასვლელი:

- Q – კუთხის სინუსი.

2.2.3. უმცირესის არჩევა (Min)



ეს ბლოკი აბრუნებს უმცირესს ორი შესადარებელი მნიშვნელობიდან.


შესასვლელები:

- I1 - პირველი რიცხვი;
- I2 - მეორე რიცხვი.

გამოსასვლელი:

- Q - უმცირესი ორი შესასვლელი რიცხვიდან.

2.2.4. უდიდესის არჩევა (Max)



ეს ბლოკი აბრუნებს უდიდესს ორი შესადარებელი მნიშვნელობიდან.


შესასვლელები:

- I1 - პირველი რიცხვი;
- I2 - მეორე რიცხვი.

გამოსასვლელი:

- Q - უდიდესი ორი შესასვლელი რიცხვიდან.

2.2.5. ხარისხში აყვანა (Pow)



გამოითვლის მოცემული რიცხვის მოცემულ ხარისში აყვანილ მნიშვნელობას, შეუძლია წილადურ ხარისხში აყვანაც.


შესასვლელი:

- Base - მოცემული რიცხვი;
- Exp - ის ხარისხი, რაშიც უნდა იქნას აყვანილი მოცემული რიცხვი.

გამოსასვლელი:

- Q - ხარისხში აყვანის რეზულტატი.

2.2.6. კოსინუსი (Cos)



ეს ბლოკი აბრუნებს რადიანებში მოცემული კუთხის კოსინუსს. რეზულტატი გამოდის -1 ... 1 დიაპაზონში.


შესასვლელი:

- I - კუთხე რადიანში.

გამოსასვლელი:

- Q - კუთხის კოსინუსი.

2.2.7. რიცხვის მოდული (ABS)



ეს ბლოკი აბრუნებს რიცხვის მოდულს.

შესასვლელი:

- I - რიცხვი.

გამოსასვლელი:

- Q - რიცხვის მოდული.

I	თუ I მეტია ან ტოლი 0
-I	თუ I ნაკლებია 0

2.2.8. ტანგენსი (Tan)



ეს ბლოკიაბრუნებს რადიანში მოცემული კუთხის ტანგენსს. ბლოკის რეზულტატის დიაპაზონია მინუს უსასრულობისგან პლიუს უსასრულობამდე.


შესასვლელი

- I - რიცხვი

გამოსასვლელი

- Q – კუთხის ტანგენსი.

2.2.9. რიცხვის კვადრატული ფუძე (SQRT)



გამოითვლის რიცხვის კვადრატულ ფუძეს.


შესასვლელი:

- I - რიცხვი, ნებისმიერი ტიპის.

გამოსასვლელი:

- Q – რიცხვის კვადრატული ფუძე.

2.2.10. რიცხვის კვადრატი (SQ)



გამოითვლის რიცხვის კვადრატს.

შესასვლელი:


- I - რიცხვი, ნებისმიერი ტიპის.

გამოსასვლელი:


- Q – რიცხვის კვადრატი.

2.3. UART-ში (Universal Asynchronous Receiver/Transmitter) გაგზავნა


2.3.1. მონაცემების გაგზავნა UART -ში (Com-პორტი)




ბლოკის დანიშნულებაა ნებისმიერი ტიპის მონაცემების UART -ში გაგზავნის უზრუნველყოფა. გადაცემის პარამეტრების აწყობა ხდება ბლოკის რედაქტორში.



ბლოკის მუშაობისათვის აუცილებელია მოწყობილობა UART - ის არჩევა. მოწყობილობის არჩევის დიალოგში წარმოდგენილია ამ მოწყობილობისათვის ხელმისაწვდომი ყველა პორტი პროგრამული SoftwareSerial - ის ჩათვლით.



SoftwareSerial - ისთვის გარდა ამისა აუცილებელია RX და TX პინების ნომრების არჩევა.



Отправка в UART

Параметры Информация

Изменить устройство

SoftwareSerial

Скорость: 9600 RX pin: 10 TX pin: 11

Отправлять в каждом цикле

Отправлять по переднему фронту

Отправлять при изменении


Отправлять периодически

Заканчивать переводом строки

Данные для отправки

Внешние (вход)

Константа



მონაცემთა გადაცემის რეჟიმები:


<<Отправлять в каждом цикле>> (გაგზავნა ყველა ციკლში) - მონაცემების გაგზავნა ხდება უწყვეტად, ვიდრე „send” შესასვლელზე მოდებულია მაღალი დონე;

<<Отправлять по переднему фронту>> (გაგზავნა წინა ფრონტით) - მონაცემების გაგზავნა ხდება ერთჯერ „send” შესასვლელზე მოდებული დონის გადასვლისას დაბალიდან მაღალზე;


<<Отправлять при изменении>> (გაგზავნა ცვლილების შემთხვევაში) - ეს რეჟიმი ხელმისაწვდომია მხოლოდ მაშინ, როდესაც მონაცემების გადაგზავნა ხდება შესასვლელიდან. ამ შემთხვევაში მონაცემების გადაგზავნა ხდება მათი ცვლილებების დროს;

<<Отправлять периодически>> (გაგზავნა პერიოდულად) - მონაცემების გაგზავნა ხდება პერიოდულად, ერთჯერ მითითებული დროის პერიოდის განმავლობაში.


2.3.2. მონაცემების მიღება UART -დან



ბლოკის დანიშნულებაა UART -დან მონაცემების მიღების უზრუნველყოფა. ბლოკის პარამეტრების აწყობა ხდება ბლოკის რედაქტორში.



ბლოკის მუშაობისათვის აუცილებელია მოწყობილობა UART - ის არჩევა. მოწყობილობის არჩევის დიალოგში წარმოდგენილია ამ მოწყობილობისათვის ხელმისაწვდომი ყველა პორტი პროგრამული SoftwareSerial - ის ჩათვლით.




SoftwareSerial - ისთვის გარდა ამისა აუცილებელია RX და TX პინების ნომრების არჩევა.



ბლოკს გამოსასვლელზე აქვს შესაძლებელ მონაცემთა სამი სახადასხვა ტიპი: String, Byte ან Char. Byte ან Char ტიპის არჩევის შემთხვევაში, გამოსასვლელზე მონაცემების ცვლილება მოხდება ყოველი ახალი ბაიტის მიღების დროს. String ტიპის არჩევას, წარმოიქმნება დაგროვების რეჟიმის არჩევის შესაძლებლობა. ამასთან გამოსასვლელზე იქნება ის სტრიქონი, რომელზედაც ყოველი ბაიტის მიღებისას მიმატებული იქნება სიმბოლო. სტრიქონის გაწმენდა მოხდება R შესასვლელზე წინა ფრონტის გამოჩენის შემთხვევაში.

ჩეკბოქსის <<Выход «Новые данные»>>(გამოსასვლელი „ახალი მონაცემები“) დაყენების შემთხვევაში ბლოკზე წარმოიშვება გამოსასვლელი “A”, რომელზედაც გამომუშავდება ვიწრო იმპულსი (პროგრამის ერთი ციკლის განმავლობაში) ყოველი ბაიტის მოსვლის შემთხვევაში.

2.3.3. ცვლადების გაგზავნა UART -ში



ბლოკის დანიშნულებაა თავის შესასვლელზე არსებული მდგომარეობის გადაცემა Arduino - ს სხვა დაფაზე ანდა კომპიუტერში Com პორტის გავლით. გადასაცემი მონაცემების ტიპის განსაზღვრა ხდება ავტომატურად შესასვლელის მიერთების დროს. თვითოეულ ბლოკს აქვს თავისი ინდექსი, რომელიც ასევე მიენიჭება ავტომატურად როგორც პირველი თავისუფალი კონკრეტული Com პორტისათვის.

ბლოკის სახელის ფორმირება ხდება შემდეგნაირად:


SV – Send Variable (გადასაცემი ცვლადი);

1 - ცვლადის ინდექსი;


CP – Comport;

0 – Com პორტის ნომერი.



ბლოკის პარამეტრიზაცია



ბლოკის მუშაობისათვის აუცილებელია მოწყობილობა UART - ის არჩევა. მოწყობილობის არჩევის დიალოგში წარმოდგენილია ამ მოწყობილობისათვის ხელმისაწვდომი ყველა პორტი პროგრამული SoftwareSerial - ის ჩათვლით.



SoftwareSerial - ისთვის გარდა ამისა აუცილებელია RX და TX პინების ნომრების არჩევა.




ცვლადების გადაცემის რეჟიმები:

<<Посылать при изменении>> (გაგზავნაცვლილების დროს) - ცვლადის გადაცემა ხდება მისი ცვლილების დროს;

<<Передавать периодически>> (გაგზავნა პერიოდულად) - ცვლადის გაგზავნა ხდება პერიოდულად, ერთჯერ მითითებული დროის პერიოდის განმავლობაში.


მისაღები ცვლადის ბლოკების აწყობის გამარტივების მიზნით მიმღებ მხარეზე შესაძლებელია გადატვირთულ იქნას ყველა ცვლადის აღწერა csv ფაილის სახით.



ამ ფაილის გამოყენება განხილულია მისაღები ცვლადის ბლოკის აღწერაში.
 გადასაცემი მონაცემების ფორმატი.

Стартовый байт	Индекс переменной в ASCII	Начало передачи данных	Данные в ASCII	Конец пакета
0000001	1	0000010	Xxxx.....xxx	0000011

2.3.4. ცვლადებისმიღება UART - იდან



ბლოკის დანიშნულებაა ცვლადების მიღება Com პორტის გავლით, რომლებიც გადმოცემულია Arduino-ს სხვა დაფიდან ანდა კომპიუტერიდან. მისაღები ცვლადის ტიპის არჩევა ხდება არჩეული ინდექსის მექონე გადასაცემი ცვლადის ტიპის შესაბამისად.

ბლოკის სახელის ფორმირება ხდება შემდეგნაირად:


RV – Reseive Variable (მისაღები ცვლადი);

1 - ცვლადის ინდექსი;


CP – Comport;

0 – Com პორტის ნომერი.

ბლოკის პარამეტრიზაცია



ბლოკის მუშაობისათვის აუცილებელია მოწყობილობა UART - ის არჩევა. მოწყობილობის არჩევის დიალოგში წარმოდგენილია ამ მოწყობილობისათვის ხელმისაწვდომი ყველა პორტი პროგრამული SoftwareSerial - ის ჩათვლით.



SoftwareSerial - ისთვის გარდა ამისა აუცილებელია RX და TX პინების ნომრების არჩევა.



ბლოკის აწყობის გამარტივების მიზნით არის შესაძლებლობა არჩეულ იქნას ცვლადი csv ფაილიდან რომელიც შექმნილ იყო პროექტში და გადაცემული ცვლადის გადაცემის ბლოკის მიერ (ამ ფაილის შექმნა აღწერილია ცვლადის გადაცემის ბლოკში). ამისათვის საჭირო იქნება „Взять из файла» (ფაილიდან აღება) ლილაკზე დაჭერა.

Порт	Индекс	Тип	Комментарий
0	1	Integer	
0	3	Float	1231231
1	1	Float	
1	2	String	sdfasdf
1	3	Unsigned long Inte	
2	1	Long Integer	
2	2	Float	dsfsdfAS
3	1	Unsigned long Inte	

Запомнить файл

Выбрать Отмена


ჩვე-ბოქსის «Запомнить Файл» (ფაილის დამახსოვრება) დახმარებით ხდება ფაილის მიმაგრება პროექტთან. მიმაგრების შემდეგ უკვე აღარ იქნება საჭირო ყოველთვის მისი ძებნა დისკზე. ამ „გალოჩკის“ მოხსნის შემთხვევაში პროექტი „ვიწყებს“ ფაილს.

მისაღები ცვლადის ფორმატი

Стартовый байт	Индекс переменной в ASCII	Начало передачи данных	Данные в ASCII	Конец пакета
0000001	1	0000010	Xxxx.....xxxx	0000011

2.4. ძრავები

2.4.1. სერვომძრავის მართვის ბლოკი (ServoMotor)



ეს სერვომძრავის მართვის ბლოკია. სტანდარტული სერვომძრავები შესაძლებლობას იძლევა მოაბრუნოს ამძრავი გარკვეული კუთხით, ჩვეულებრივად 0 - დან 180 გრადუსამდე. ზოგიერთი სერვომძრავი შესაძლებლობას იძლევა შეასრულოს სრული ბრუნვები მოცემული სიჩქარეზე.


ბლოკი შესაძლებლობას იძლევა იმართოს 12 სერვომძრავი Arduino-ს მრავალი დაფის გამოყენებით და 48 სერვომძრავი Arduino Mega - ს დაფით.

Arduino Mega- საგან განსხვავებული კონტროლერებისას ბიბლიოთეკის გამოყენებაზღუდავს შესაძლებლობას გამოყენებულ იქნას მე-9 და მე-10


გამოსასვლელები განვიმპულსური მოდულიაციის რეჟიმში (გიმ), იმ შემთხვევაშიც კი თუ ამძრავი არ არის შეერთებული ამ გამომყვანებთან. Mega-ს დაფაზე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას 12-მდე სერვოდრავი გიმ ფუნქციონალის დაურღველად. Mega-ს გამოყენებისას 12-დან 23 სერვოდრავამდე მართვისათვის უკვე შეუძლებელი იქნება მე-11 და მე-12 გამოსასვლელების გამოყენება გიმ-ის რეალიზაციისათვის.

მიერთება.

ზოგადად სერვოდრავი დაფას უერთდება სამი გამტარით: კვება, მიწა და სასიგნალო. ჩვეულებრივ კვება - ეს წითელი გამტარია და შეიძლება მიერთებულ იქნას Arduino-ს +5ვ გამომყვანზე. შავი გამტარი მიწაა და უნდა შეუერთდეს Arduino-ს GND გამომყვანს. სასიგნალო გამტარი ჩვეულებრივ ყვითელი ფერისაა და უერთდება არდუინოს ციფრულ გამოსასვლელს. აქ უნდა აღინიშნოს, რომ მძლავრმა სერვოდრავებმა შეიძლება გამოიწვიოს დიდი დატვირთვები და ამ შემთხვევაში ისინი უნდა იკვებონ ცალკე კვების წყაროდან და არა არდუინოს +5ვ გამოსასვლელიდან. იგივე ითქმის რამოდენიმე სერვოდრავების მიერთების შემთხვევაშიც. ამ შემთხვევაში კონტროლერი და ამძრავი უნდა იყოს მიერთებული საერთო მიწასთან.




2.4.2. ბიჯური ძრავის მართვის ბლოკი (StepMotor)




ბლოკი წარმოადგენს მოხერხებულ ინტერფეისს ბიპოლარული და უნიპოლარული ბიჯური ძრავების მართვისთვის. ბიჯური ძრავების მართვისთვის, მათი ტიპისაგან (ბიპოლარული ან უნიპოლარული) დამოკიდებულებისა და მათი

მიერთების წესის მიხედვით საჭირო იქნება ზოგიერთი დამატებითი ელექტრონული კომპონენტის გამოყენება.



მიერთება

უნიპოლარული ბიჯური ძრავი იმართება 4 გამომყვანით. ასეთი მიერთებისას გამოიყენება მიკროსქემა - დატვირთვის დრაივერი ULN2003 ანდა ULN2004.




ბიპოლარული ბიჯური ძრავი იმართება 4 გამომყვანით. ასეთი მიერთებისას გამოიყენება მიკროსქემა SN54410NE.

2.5. რეალური დროის საათები

2.5.1. დროის მიღება რეალური დროის საათისაგან (GetTime)



ბლოკის დანიშნულებაა რეალური დროის საათისგან მონაცემების მიღება რეალური დროის შესახებ. ახალი საათის შექმნის შემთხვევაში არის საათის ტიპის არჩევის შესაძლებლობა.



საათის სხვადასხვა ტიპებისათვის ინფორმაცია მიერთების შესახებ სხვადასხვაა.

DS1302 საათის აწყობის დიალოგი

Параметры Информация

Часы № 1 Тип: DS1302

CLK (SCLK) DAT (I/O) RST(CE)

2 1 3

Комментарий

Время

Выход "Время одной строкой"

Выход "Часы"

Выход "Минуты"

Выход "Секунды"

Дата

Выход "Дата одной строкой"

Выход "Год"

Выход "Месяц строкой"

Выход "Месяц числом"

Выход "День"

Выход "День недели строкой"

Выход "День недели числом"

DS1307 (DS3231) საათის აწყობის დიალოგი

Параметры Информация

Часы № 1 Тип: DS1307

Подключение часов

GND - Земля SDA - D-20

VCC - +5В SCL - D-21

Время

Выход "Время одной строкой"

Выход "Часы"

Выход "Минуты"

Выход "Секунды"

Дата

Выход "Дата одной строкой"

Выход "Год"

Выход "Месяц строкой"


Выход "Месяц числом"

Выход "День"

Выход "День недели строкой"


Выход "День недели числом"

2.5.2. რეალური დროის საათის დაყენება (SetTime)



„EN“შესასვლელზე მაღალი დონის მიწოდების შემთხვევაში ის დრო, რომელიც მითითებული იყო ამ ბლოკის აწყობებში ჩაიწერება საათში.

ახალი მნიშვნელობების ჩაწერის შემთხვევაში არის შესაძლებლობა, რომ არჩეულ იქნას საათის ტიპიც.




საათების სხვადასხვა ტიპებისათვის მიერთებების ინფორმაცია სხვადასხვაა.

DS1302საათის აწყობის დიალოგი

The screenshot shows the "DS1302საათის აწყობის დიალოგი" (DS1302 clock configuration dialog). It has two tabs: "Параметры" (Parameters) and "Информация" (Information). Under "Параметры", there are fields for "Часы №" (Clock No.) set to 1, "Новые" (New) button, and "Тип: DS1302" (Type: DS1302). Below are three columns of pin assignments: CLK (SCLK) set to 1, DAT (I/O) set to 2, and RST(CE) set to 5. A "Комментарий" (Comment) field is empty. The "Установить" (Set) section has a list of fields to be configured: "Год" (Year), "Месяц" (Month), "День недели" (Day of week), "Число" (Number), "Час" (Hour), "Минута" (Minute), and "Секунда" (Second). Each field has a checked checkbox, a radio button for "Вход" (Input), and a radio button for "Константа" (Constant) which is selected. Each field also has an input field or dropdown menu.

DS1307 (DS3231) საათის აწყობის დიალოგი

2.5.3. ხდომილებების დაყენება რეალური დროის საათის მეშვეობით (Alarm)




დრო როდესაც მიაღწევს იმ მნიშვნელობას, რომელიც დაყენებული იყო ბლოკის აწყობებში, მაშინ ბლოკის გამოსასვლელზე წარმოიშვება მაღალი დონე. ახალი საათის შექმნის შემთხვევაში არის შესაძლებლობა საათის ტიპის არჩევისა.

სხვადასხვა საათებისთვის ინფორმაცია მიერთების შესახებ სხვადასხვაა.

2.6. დისპლეები

2.6.1. დისპლეის მართვის ბლოკი HD44780 ჩიპზე და მის კლონებზე




ბლოკის დანიშნულებაა ინფორმაციის ასახვა დისპლეიზე, რომელიც აგებულია HD44780 კონტროლერზე ან და მის კლონზე.

დისპლეის შესრულების ვარიანტი.




მიერთების სქემა



დისპლეის აქვს თვითტესტირების რეჟიმი, რომელიც შეიძლება ჩაირთოს თუ მივაერთებთ მის გამომყვანებს:

- 1 — Vss, მიწასთან -> GND;
- 2 — Vdd. კვებასთან -> +5 ვ;
- 3 — Vo, კონტრასტულობის მართვის ძაბვასთან ->პოტენციომეტრის გამოსასვლელთან;
- 15 — A, კვებასთან განათებულობისათვის -> +5 ვ;
- 16 — K, მიწასთან განათებულობისათვის -> GND.


სიმბოლოების ზედა მწკრივი სრულად უნდა შეივსოს მუქი ოთხკუთხედებით.



ხოლო, დისპლეისთან სრულყოფილი მუშაობისათვის უნდა მივაერთოთ 12 გამოსასვლელი:

- 1 — Vss, მიწასთან -> GND;
- 2 — Vdd. კვებასთან -> +5 ვ;
- 3 — Vo, კონტრასტულობის მართვისთვის ძაბვით ->პოტენციომეტრის გამოსასვლელთან;
- 4 — RS, რეგისტრის არჩევისთვის ->Arduino-ს მე-12 პინი;
- 5 — R/W, წაკითხვა/ჩაწერისთვის -> მიწასთან (ჩაწერის რეჟიმი);
- 6 — E იგივე Enable, სტრობი ვარდნაზე ->Arduino-ს მე-11 პინი;
- 7-10 — DB0-DB3, დაბალი ბიტები 8-ბიტური ინტერფეისისა: არაა მისაერთებელი;

- 11-14 _ DB4-DB7. მაღალი ბიტები ინტერფეისისა -> Arduino -ს 5-2 პინებითან;
- 15 — A, კვებასთან, განათებულობისათვის -> +5 ვ;
- 16 — K, მიწასთან, განათებულობისათვის -> GND.



პარამეტრიზაციის დიალოგი სტანდარტული შეერთებების დროს.

Параметры
Информация

Дисплей № 1 Новый Тип: Дисплей на чипе HD44

Подключение через I2C

RS	E	D4	D5	D6	D7		Строк	Столбцов
▼	▼	▼	▼	▼	▼		2	16


Комментарий

Данные: Вход Константа


Строка: ▼ Центровать

Столбец: ▼


პარამეტრიზაციის დიალოგი I2C-ს გავლით შეერთების დროს





დისპლეის მისამართის გაგება შეიძლება ინსტრუმენტის "Сканирование шины I2C" (I2C სალტის სკანირება) გამოყენებით




სალტის სკანირებისათვის აუცილებელია რამოდენიმე მარტივი ბიჯის შესრულება.






მოწყობილობის აღმოჩენის შემდეგ საჭიროა მისი აღწერა. ამისათვის აუცილებელია ორჯერ დავაწკაპოთ მოძებნილ მოწყობილობაზე. შემდეგ მოძებნილი მოწყობილობები შეგვიძლია შევინახოთ ფაილში. შეგვიძლია გამოვიყენოთ ერთიდაიგივე ფაილი მოწყობილობებისათვის სალტეზე I2C, OneWire, აგრეთვე ჩაწერილი იკ პულტის დილაკებისათვის. არსებული ფაილის არჩევასას პროგრამა ჩაიწერს მოძებნილ მოწყობილობებს ფაილში.


მისამართის არჩევის დიალოგი გვიჩვენებს მხოლოდ I2C სალტეზე არსებულ მოწყობილობებს.



2.6.2. I2C სალტეზე მიერთებული HD44780 ჩიპის განათების მართვის ბლოკი




ბლოკის დანიშნულებაა I2C სალტეზე მიერთებული HD44780 ჩიპის განათებულობის მართვა. მოდულის თვისებებში აუცილებელია ავირჩიოთ თუ რომელ დისპლეის უნდა მიუერთდეს ბლოკი, ანალოგიურად დისპლეიზე გამოყვანის ბლოკისა.




თუ კი პროექტში არ იქნება დისპლეიზე მიერთებული არცერთი ბლოკი, მაშინ ამ დისპლეის განათებულობა იქნება ყოველთვის ჩართული.

2.6.3. შვიდსეგმენტა ინდიკატორის მართვის ბლოკი




ბლოკის დანიშნულებაა შესასვლელზე მოდებული კოდის მნიშვნელობის გარდაქმნა ისეთ კოდში, რომელიც აუცილებელია შვიდსეგმენტა ინდიკატორის მართვისთვის. შესასვლელზე შეიძლება მიწოდებულ იქნას მთელი რიცხვი ან სტრიქონი. მხარდაჭერილი სიმვოლოები: ციფრები 0-დან 9-მდე, ასევე სიმვოლოები A, C, c, d, E, F, H, h, L, O, o, P, S, T, U, u, n.

მოდულის აწყობებში შეგვიძლია ავაწყოთ ინდიკატორის თანრიგების რაოდენობა, ინდიკატორის ტიპი (სტატიკური ან დინამიური ინდიკაცია), აგრეთვე ინდიკატორის მიერთების ტიპი (საერთო ანოდით თუ საერთო კათოდით).




2.7. სტრიქონები

2.7.1. სტრიქონების შეკრების ბლოკი (SSum)




ბლოკის დანიშნულებაა რამოდენიმე სტრიქონის შეკრება. შესასვლელების რაოდენობის აწყობა ხდება ბლოკის პარამეტრებში.




2.8. მასივები


2.8.1. ელემენტის ჩაწერა მასივში




ბლოკის დანიშნულებაა მასივში ელემენტების ჩაწერის უზრუნველყოფა. ბლოკის რედაქტორში შეიძლება არჩეულ იქნას ანდა შეიქმნას მასივი, ასევე აეწყოს დავალება ელემენტების აუცილებელ ინდექსზე (კონსტატაზე ან შესასვლელზე) და ჩაწერის რეჟიმზე.




იმისათვის, რომ შეიქმნას მასივი აუცილებელია ღილაკზე „Создать» (შექმნა) დაჭერა და გახსნილ ფანჯარაში ახალი მასივის პარამეტრების ჩაწერა.



იმისათვის, რომ აირჩეს მასივი უკვე არსებულებისაგან, აუცილებელია ღილაკზე «Выбрать» (არჩევა) დაჭერა და გახსნილ ფანჯარაში სათანადო მასივის ამორჩევა.




საწყისი მნიშვნელობებით მასივის შევსებისათვის აუცილებელია ღილაკის „Заполнить“ (შევსება) დაჭერა და გახსნილი ფანჯრის საჭირო მონაცემებით შევსება.




მასივის ინიციალიზაციის გაუქმებისთვის აუცილებელია ღილაკის «Очистить» (გაწმენდა) დაჭერა.


2.8.2. მასივის ელემენტის მიღება




ბლოკის დანიშნულებაა მასივის ელემენტის მიღების უზრუნველყოფა. ბლოკის რედაქტორში შესაძლებელია არჩეულ იქნას ანდა შეიქმნას მასივი, ასევე აეწყოს დავალება ელემენტის აუცილებელ ინდექსზე (კონსტატაზე ან შესასვლელზე).




იმისათვის, რომ შეიქმნას მასივი აუცილებელია ღილაკზე „Создать» (შექმნა) დაჭერა და გახსნილ ფანჯარაში ახალი მასივის პარამეტრების შეტანა.



იმისათვის, რომ აირჩეს მასივი არსებულებისაგან აუცილებელია ღილაკზე «Выбрать» (არჩევა) დაჭერა და გახსნილ ფანჯარაში სათანადო მასივის ამორჩევა.




საწყისი მნიშვნელობებით მასივის შევსებისათვის აუცილებელია დიალგის „Заполнить“ (შევსება) დაჭერა და გახსნილ ფანჯარაში საჭირო მონაცემების შეტანა.




მასივის ინიციალიზაციის გაუქმებისთვის აუცილებელია დიალგის «Очистить» (გაწმენდა) დაჭერა.


2.8.3. მასივის ელემენტების ჯამი




ბლოკის დანიშნულებაა მასივის ელემენტის ჯამის მიღების უზრუნველყოფა. ბლოკის რედაქტორში შეიძლება არჩეულ იქნას ანდა შეიქმნას მასივი.




იმისათვის, რომ შეიქმნას მასივი აუცილებელია ღილაკზე „Создать» (შექმნა) დაჭერა და გახსნილ ფანჯარაში ახალი მასივის პარამეტრების შეყვანა.



იმისათვის, რომ აირჩეს მასივი არსებულებისაგან აუცილებელია ღილაკზე «Выбрать» (არჩევა)დაჭერა და გახსნილ ფანჯარაში სათანადო მასივის ამორჩევა.




საწყისი მნიშვნელობებით მასივის შევსებისათვის აუცილებელია ღილაკის „Заполнить» (შევსება) დაჭერა და გახსნილ ფანჯარაში საჭირო მონაცემების შეტანა.




მასივის ინციალიზაციის გაუქმებისთვის აუცილებელია ღილაკის «Очистить» (გაწმენდა) დაჭერა.


2.8.4. მუშაობა მასივთან როგორც სტეკთან




ბლოკის დანიშნულებაა მასივის ელემენტის მიღების უზრუნველყოფა. “Save” შესასვლელზე იმპულსის წინა ფრონტის გამოჩენის დროს მასივის ნულოვან ელემენტში გადაიწერება მნიშვნელობა პირველი ელემენტიდან. პირველ ელემენტში გადაიწერება მნიშვნელობა მეორედან და ა.შ.შ. ბოლოს მასივის ბოლო ელემენტში ჩაიწერება მნიშვნელობა “Data” შესასვლელიდან. ბლოკის რედაქტორში შეიძლება არჩეულ იქნას ანდა შეიქმნას მასივი.




იმისათვის, რომ შეიქმნას მასივი აუცილებელია დილაკზე „Создать» (შექმნა) დაჭერა და გახსნილ ფანჯარაში ახალი მასივის პარამეტრების შეტანა.



იმისათვის, რომ აირჩეს მასივი არსებულებისაგან აუცილებელია დილაკზე «Выбрать» (არჩევა) დაჭერა და გახსნილ ფანჯარაში სათანადო მასივის ამორჩევა.




საწყისი მნიშვნელობებით მასივის შევსებისათვის აუცილებელია ღილაკის „Заполнить« (შევსება) დაჭერა და გახსნილ ფანჯარაში საჭირო მონაცემების შეტანა.




მასივის ინიციალიზაციის გაუქმებისთვის აუცილებელია ღილაკის «Очистить» (გაწმენდა) დაჭერა.

2.9. გადამწოდები


2.9.1. ულტრაბგერითი შორსმზომი HC-SR04 (HC-SR04)




ბლოკის გამოსასვლელზე ფორმირდება შორსმზომის მიერ გაზომილი მნიშვნელობა. შორსმზომის მიერთების კონფიგურირება ხდება ბლოკის თვისებების დიალოგში. შორსმზომის მიერთება კონტროლერზე ხდება უშუალოდ ციფრულ შესასვლელზე.



2.9.2. ტემპერატურის გადამწოდის ბლოკი DS18B20 (DS18S20, DS1822)



ბლოკი გვამძლევს შესაძლებლობას გამოვიყენოთ პროექტებში DS18B20 DS1822 ტიპების ტემპერატურული გადამწოდები. გადამწოდების მიერთება ხდება OneWire სალტესთან სქემის მიხედვით.



პროექტში შეიძლება რეალიზებულ იქნას რამოდენიმე სალტე OneWire. ბლოკის აწყობის დიალოგში აუცილებელია მივუთითოთ ის სალტე OneWire რომელზედაც მიერთებულია გადამწოდი, აგრეთვე გადამწოდის მისამართი და ტიპი.

Параметры Информация

Шина OneWire

Адрес:

Тип:

Комментарий:

Паразитное питание

Вход разрешения опроса


Время опроса датчика

В каждом цикле (не рекомендуется)




Периодически

Опрашивать каждые сек.

გადამწოდის მისამართი და ტიპი შეგვიძლია გავიგოთ ინსტრუმენტის "Сканирование шины OneWare" (OneWare სალტის სკანირება) დახმარებით.




გადამწოდის მისამართისა და ტიპის დასადგენად საჭიროა გადავდგათ რამოდენიმე მარტივი ნაბიჯი.




ერთდროულად შესაძლებელია რამოდენიმე გადამწოდის სკანირება. იმის გასარკვევად, თუ რომელ გადამწოდს ეკუთვნის რომელი მისამართი, შეგვიძლია გავაცხელოთ ან გავაციოთ გადამწოდი და დავაკვირდეთ მიმდინარე ჩვენებების ცვლილებებს. ორჯერ დაწკაპებით გადამწოდზე გაიხსნება კომენტარების ცვლილების ფანჯარა ამ გადამწოდისთვის. გადამწოდების გარკვევის შემდეგ მიღებული მონაცემები შეგვიძლია შევინახოთ ფაილში. შეგვიძლია გამოვიყენოთ ერთი ფაილი ნაპოვნი OneWire, I2C მოძებნილი მოწყობილობებისა და

დასკანირებული ინფრაწითელი პულტის ღილაკების მონაცემების შესანახად. არსებული ფაილის არჩევის შემთხვევაში პროგრამა დაამატებს ნაპოვნ გადამწოდებს ფაილში. გადამწოდის მისამართის არჩევის დიალოგი ახორციელებს გადამწოდის არჩევას მხოლოდ OneWare სალტისაგან.




2.9.3. ბარომეტრის ბლოკი BMP – 085




ბლოკის დანიშნულებაა პროექტში ბარომეტრის BMP – 085 და მისი ანალოგიურების გამოყენების შესაძლებლობის რეალიზაცია.

ბლოკის აწყობა შეიძლება ბლოკის დიალოგში.




აქ მხედველობაშია მისაღები, რომ წნევის ჩვენებები წარმოდგენილი იქნება პასკალებში Pa. იმისათვის, რომ მივიღოთ წნევა mm Hg აუცილებელი იქნება გაიყოს ჩვენებები 133.3 ($Pa/133.3 = mm\ Hg$). კარგი იქნებოდა, რომ ბლოკის აწყობებში დამატებულიყო ღილაკი გაზომვის ერთეულის არჩევისათვის. ანდა წნევის "გალოჩკის" Pa დაემატოს წნევის გამოსასვლელი mm Hg განზომილებაში.


2.9.4. ინფრაწითელი (იწ) მართვის პულტის მიმღები (IRResive)




ამ ბლოკის დანიშნულებაა ინფრაწითელი მიმღების გამოყენების შესაძლებლობის რეალიზაცია პროექტებში. ბლოკის აწყობებში შესაძლებელია ავარჩიოთ გამოსასვლელების ის აუცილებელი რაოდენობა, რომლებზედაც პულტის გარკვეულ ღილაკზე დაჭერის შემთხვევაში გამომუშავდება ძაბვის მაღალი დონე. "V" გამოსასვლელზე გამოიცემა მიმდინარე მიღებული ბრძანების კოდი ანდა 0.





პულტის ღილაკების საჭირო კოდები არჩეულ უნდა იქნას ფაილისაგან.



ლილაკების ფაილის შექმნა შესაძლებელია ინსტრუმენტის "Запись кодов кнопок ИК пульта" (იწ პულტის ღილაკების კოდების ჩაწერა) დახმარებით.




პულტის ღილაკების კოდების ჩაწერისათვის აუცილებელია რამოდენიმე მარტივი ბიჯის გაკეთება.



მოძებნილი I2C, OneWire მოწყობილობების ღილაკების ყველა კოდისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთიდაიგივე ფაილი. არსებული ფაილის არჩევის შემთხვევაში კი პროგრამა დაამატებს ღილაკების ახალ კოდებს ფაილში. ღილაკების არჩევისას ბლოკის დიალოგში პროგრამა გვაჩვენებს მხოლოდ ღილაკებს.

2.9.5. DHT11 (DHT21, DHT22) ტემპერატურისა და ტენიანობის გამზომი გადამწოდის

ბლოკი



ბლოკი იძლევა საშუალებას გამოყენებულ იქნას პროექტებში ტემპერატურისა და ტენიანობის გამზომი გადამწოდები DHT-11, DHT-21, DHT-22. გადამწოდის აწყობის დიალოგში აუცილებელია მითითებულ იქნას ის ციფრული შესასვლელი, რომელზედაც მიერთებული იქნება გადამწოდი და გადამწოდის ტიპი.

Параметры Информация

Цифровой pin ▼

Тип датчика ▼

Выход температуры

Выход влажности

Вход разрешения опроса

Время опроса датчика

В каждом цикле (не рекомендуется)

Периодически

Опрашивать каждые сек.

2.10. CD ბარათი

2.10.1. ფაილის გადმოტვირთვა CD ბარათიდან Com პორტში



ბლოკის დანიშნულებაა CD ბარათზე არსებული ფაილიდან მისი შემცველობის გაგზავნა Com პორტში. ბლოკის პროექტიდამატებისას აუცილებელი იქნება მისი პარამეტრიზაცია. მოდულის თვისებებში, თუ კი პროექტში არსად არ იყო გამოყენებული CD ბარათი, აუცილებელი გახდება მისი მიერთება.

Подключение:

CS ▼

MOSI 11

MISO 12

SCK 13

ახალი CD ბარათის შექმნის დიალოგში თქვენ აუცილებლად უნდა აირჩიოთ თუ რომელ პინზე იქნება მიერთებული ბარათის წამკითხავის მართვის შესასვლელი.

შემდეგ აუცილებელი იქნება აირჩეს არსებული ფაილებისაგან ის ფაილი რომელიც საჭიროა პროექტში ჩამოტვირთვისთვის ანდა შეიქმნას ახალი ფაილი.

Имя файла

Имя файла олжно отвечать следующим требованиям:

1. Содержать только латинские символы и цифры.
2. Длина имени не более 8 символов.
3. Можно добавить свое расширение файла.

Расширение состоит из латинских символов и цифр.
Количество символов в расширении равно 3.
Если расширение не добавлено, автоматически добавится расширение .log

Готово Отмена

შემდეგ საიჭიროა აირჩეს Com პორტის ნომერი და მისი მუშაობის სიჩქარე.

SD карта

Подключение


CS 2 MOSI -11 MISO -12 SCK -13

Файл test.log Новый

Порт: 0 Скорость передачи: 9600


"Upload" შესასვლელზე წინა ფრონტის დადგომის დროს ფაილის შემცველობა გაგზავნილ იქნება Com პორტში. თუ ფაილი ვერ იქნა მონახული, მაშინ პორტში არ გაიგზავნებაარაფერი.

2.10.2. ცვლადის ჩაწერა CD ბარათზე




ბლოკის დანიშნულებაა ცვლადის ჩაწერა CD ბარათის ლოგ ფაილში, რომელიც მიერთებულია არდუინოსთან სპეციალური შილდის საშუალებით. ბლოკის დამატებისას პროექტში აუცილებელი იქნება მისი პარამეტრიზაცია. თუ კი პროექტში

არსად არ იყო გამოყენებული CD ბარათი მაშინ მოდულის თვისებებში აუცილებელი იქნება მისი მიერთება.




3.3.4. წინა ფრონტის გამოყოფა (Rtrig)




ბლოკის დანიშნულებაა I შესასვლელზე მიწოდებული იმპულსის წინა ფრონტის გამოყოფა.

I შესასვლელზე ლოგიკური ერთიანის გამოჩენის მომენტში Q გამოსასვლელზე დაყენდება ლოგიკური ერთიანი და ეს გაგრძელდება პროგრამის ერთი ციკლის შესრულების განმავლობაში.

ბლოკს არააქვს პარამეტრები.


3.3. ტაიმერები

3.4.1. იმპულსების გენერატორები (Generator)




იმპულსების გენერატორი “Q” გამოსასვლელზე აფორმირებს იმპულსებს “EN” შესასვლელზე ლოგიკური ერთიანის მიწოდების შემთხვევაში და ამ იმპულსების და პაუზების სიგრძეები (ხანგრძლივობები) მოცემულია წინასწარი დაყენებებით.

გენერატორის მუშაობის დროის დიაგრამები:




ერთიბრატორის მუშაობის დროის დიაგრამები (1)




სიმეტრიული მულტიბრატორის მუშაობის დროის დიაგრამები (2)

იმპულსების გენერატორის შექმნა სქემაზე ხდება მისი გადაცოცებით ელემენტების ბიბლიოთეკიდან.




არასიმეტრიული მულტიბრატორის მუშაობის დროის დიაგრამები (3)

სქემაზე ბლოკის შექმნა ხდება მისი გადაცოცებით ელემენტების ბიბლიოთეკიდან.




იმპულსების გენერატორის პარამეტრიზაცია ხდება ბლოკის რედაქტორის დახმარებით.

იმპულსებისა და პაუზების სიგრძეები შეიძლება მოცემულ იქნას ან კონსტანტების სახით ან "OnVal" და "OffVal" შესასვლელებზე მათი მიწოდებით შესაბამისად.



3.4.2. ტაიმერები (Timer)




ტაიმერი წარმოადგენს ბლოკს, რომელიც აფორმირებს “EN” შესასვლელზე მოდებული იმპულსის წინა (2) ან უკანა (1) ფრონტის დაყოვნებას.


ტაიმერის მუშაობის დროის დიაგრამები:




1. TOF(დაყოვნება გამორთვაზე)



2. TON (დაყოვნება ჩართვაზე)




ტაიმერების პარამეტრიზაცია ხდება ბლოკის გენერატორის დახმარებით. დაყოვნებების სიდიდეები შეიძლება მოცემულ იქნას ან კონსტანტის სახით ან "Val" შესასვლელზე მიწოდებით.



დაყოვნების სიდიდე შეიძლება მოცემულ მიქნას ან კონსტანტის სახით, ანდა Valშესასვლელზე მისი მიწოდების გზით.

3.5. მთვლელები

3.5.1. ჩქაროსნული მთვლეელი (Speed Counter)



ბლოკის დანიშნულებაა:

- მის ციფრულ შესასვლელზე მიწოდებული იმპულსების თვლა მოცემული დროის განმავლობაში;
- იმპულსებისა ხანგრძლივობისა და მათ შორის პაუზების გაანგარიშება;
- საერთო რაოდენობის იმპულსების გადათვლა;
- ასევე დაყოვნების ხაზის ორგანიზება შესასვლელი იმპულსიდან გამოსასვლელზე.

ბლოკის მუშაობა ხდება კონტროლერის მიერ აპარატული წყვეტების გამოყენებით, დანარჩენ პროგრამაზე მუშაობისაგან დამოუკიდებლად. ამიტომ, ეს იწვევს Arduino-ს ციფრული შესასვლელების გამოყენების შეზღუდვას, რადგან, მისი მხოლოდ რამოდენიმე შესასვლელი შეიძლება გამყენებულ იქნას წყვეტების გამოსაძახებლად.

შესასვლელი პინების სია, რომლებითაც შესაძლებელია აპარატული წყვეტების რეალიზაცია, Arduino-ს ტიპისაგან დამოკიდებულებაში.

Uno и подобные	2	3				
Mega2560	2	3	21	20	19	18
Leonardo	3	2	0	1	7	

ბლოკის ზოგადი აწყობები

ბლოკის ზოგად აწყობებში ამოირჩევენ კონტროლერის იმ პინს, რომელზედაც განხორციელდება გაზომვები, ასევე აუცილებლობის შემთხვევაში დაემატება „IV“ გამოსასვლელი რომელზედაც დუბლირებული იქნება ის იმპულსები, რომლებიც მიეწოდება კონტროლერის არჩეულ შესასვლელზე.

დროის პერიოდის განმავლობაში იმპულსების თვლის ფუნქციის აწყობა

შესაძლებელია თვლის დროის ათვლის ორი ვარიანტი, პროგრამული ტაიმერის გამოყენებით და აპარატული ტაიმერის გამოყენებით.


აპარატული ტაიმერი უზრუნველყოფს თვლის უფრო მაღალ სიზუსტეს, მაგრამ შემოაქვს ზოგიერთი შეზღუდვები. კერძოდ, აპარატული ტაიმერის გამოყენება შეუძლებელს ხდის მე-3 და მე-11 ციფრული გამოსასვლელების გამოყენების შესაძლებლობას განივიმპულსური მოდულიაციის რეჟიმში. და კიდევ, ყველა ჩქაროსნულ მთვლელს პროექტში, რომლებიც გამოიყენებენ აპარატულ ტაიმერს, ექნებათ თვლის ერთიდაიგივე დრო.

პროგრამული ტაიმერის გამოყენების შემთხვევაში, სხვადასხვა მთვლელებს შეიძლება ჰქონდეთ თვლის სხვადასხვა დროები. აპარატული ტაიმერის გამოყენებით შეუძლებელია დაყოვნების ხაზის ფუნქციის რეალიზება. თვლის რეზულტატები გამოიტანება “CIT” გამოსასვლელზე.

ექსპერიმენტალური გზით მიღებულია მთვლელის შემდეგი მახასიათებლები:

- იმპულსების მიმდინარეობის მაქსიმალური სიხშირე - 130 კჰც;
- იმპულსის მინიმალური ხანგრძლიობა - 50 ნწმ.

იმპულსების საერთო რაოდენობის გადათვლის ფუნქციის აწყობა.




ამ ფუნქციის გამოყენების დროს ბლოკის “CP” გამოსასვლელზე გამოიცემა შესასვლელზე მიწოდებული იმპულსების საერთო რაოდენობა. თვლის ნებისდართვის შესასვლელის დამატების დროს იმპულსების გადათვლა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იარსებებს მაღალი დონე “EnCI” შესასვლელზე.

თუ კი კიდეც დავამატებთ თვლის ჩამოყრის ფუნქციას იმპულსის წინა ფრონტით „RCI” შესასვლელზე, მაშინ თვლის რეზულტატები ჩამოიყრება 0-ში.

იმპულსების თვლა მოხდება წინა ან უკანა ფრონტზე აწყობის მიხედვით.

იმპულსისა და პაუზის ხანგრძლივობების გაანგარიშების ფუნქციის აწყობა



ამ ფუნქციის გამოყენებისას "PDP" გამოსასვლელზე (ჩეკ-ბოქსის დაყენებით "выход длительности импульса" (იმპულსის ხანგრძლივობის გამოსასვლელი) დაფიქსირებული იქნება იმპულსებს შორისსაბოლოო პაუზის მნიშვნელობა.

გაზომვის ნებისდართვის შესასვლელის დამატების შემთხვევაში, გაზომვა მოხდება მხოლოდ „EnDP“ შესასვლელზე მაღალი დონის არსებობის შემთხვევაში. დაბალი დონის შემთხვევაში გამოსასვლელზე შენარჩუნებული იქნება ბოლო ნებადართული გაზომვების მნიშვნელობა.

ამ ფუნქციის გამოყენების შემთხვევაში კონტროლერის გამოსასვლელზე, ანდა ბლოკის "DLO" გამოსასვლელზე (აწყობებისაგან დამოკიდებულებით) მოხდება ბლოკის შესასვლელზე მიწოდებული იმპულსის გადაცემა მოცემული დაყოვნებით. დაყოვნება შეიძლება იყოს კონსტანტით ანდა შეიძლება მიწოდებულ იქნას ბლოკის "DT" შესასვლელზე.


თუ არჩეულია დაყოვნების გადაცემის რეჟიმი წინა ფრონტით, გამოსასვლელზე გადაცემულ იქნება იმპულსის წინა ფრონტი მოცემული დაყოვნებით, ამასთან ერთად, იმპულსის ხანგრძლივობა მოცემულ იქნება პარამეტრით "длительность импульса" (იმპულსის ხანგრძლივობა).

თუ არჩეულია დაყოვნების გადაცემის რეჟიმი უკანა ფრონტით, გამოსასვლელზე გადაცემულ იქნება იმპულსის უკანა ფრონტი მოცემული დაყოვნებით, ამასთან ერთად, პაუზის ხანგრძლივობა მოცემულ იქნება პარამეტრით "длительность паузы" (პაუზის ხანგრძლივობა).

ორთავე რეჟიმის არჩევის შემთხვევაში, შესასვლელი იმპულსი გადაეცემა გამოსასვლელზე ცვლილებების გარეშე, მაგრამ მოცემული დაყოვნებით.

თუ დამატებულ იქნება დაყოვნების ხაზის მუშაობის ნებისდართვის შესასვლელი, მაშინ შესასვლელი იმპულსი გადაცემულ იქნება გამოსასვლელზე მხოლოდ მაღალი დონის არსებობის შემთხვევაში “EnDL” შესასვლელზე.

3.5.2. იმპულსური მთვლელები




მთვლელი - ეს ისეთი მოწყობილობაა რომელიც ითვლის “C” შესასვლელზე მიწოდებულ იმპულსებს.

არსებობს სამი სახის მთვლელი:


1. მთვლელი მატებაზე. იმპულსის წინა ფრონტის მოსვლის დროს მთვლელის მნიშვნელობა იზრდება 1-ით;
2. მთვლელი დაკლებაზე. იმპულსის წინა ფრონტის მოსვლის დროს მთვლელის მნიშვნელობა მცირდება 1-ით;
3. მთვლელი მატებაზე ან დაკლებაზე. იმპულსის წინა ფრონტის მოსვლის დროს მთვლელის მნიშვნელობა იზრდება ან მცირდება 1-ით. თვლის მიმართულება დამოკიდებულია სიგნალის მნიშვნელობისაგან “UD” შესასვლელზე. სიგნალის არსებობისას (ლოგ. 1) მთვლელი თვლის მატებაზე, ხოლო სიგნალის არ არსებობისას (ლოგ. 0) მთვლელი თვლის დაკლებაზე.

“R” შესასვლელის დანიშნულებაა მთვლელის ჩამოყრა (ნულზე დაყენება). სიგნალის არსებობისას ამ შესასვლელზე, მთვლელის მნიშვნელობა ვარდება ნულზე. (შენიშვნა. პროგრამაში ტექსტის ნაწილი დაფარულია ნახაზით).


მთვლელის შექმნა სქემაზე ხდება მისი გადაცოცებით ელემენტების ბიბლიოთეკიდან.



მთვლელის პარამეტრიზაცია ხდება ბლოკის რედაქტორის დახმარებით.




წინასწარდაყენების რეჟიმის დაყენების დროს მთვლელზე გამოჩნდება შესასვლელი “SP”. ამ შესასვლელზე სიგნალის არსებობის შემთხვევაში მთვლელში შეიტანება მნიშვნელობა. ეს მნიშვნელობა შეიძლება მიწოდებულ იქნას როგორც კონსტანტა ანდა მიწოდებულ მიქნას “P” შესასვლელის საშუალებით.




მთვლელს შეიძლება ჰქონდეს ერთი ან ორი გამოსასვლელი:

1. მიმდინარე მნიშვნელობა („Q“) - - ეს ანალოგური გამოსასვლელია, მასზედ ფორმირდება ანალოგური სიგნალი, რომელიც შეესაბამება მთვლელის მიმდინარე მნიშვნელობას;
2. დაყენებულ მნიშვნელობასთან მიღწევა („>L“) – ეს კი ციფრული გამოსასვლელია. მასზედ გამოიცემა სიგნალი თუ კი მთვლელის მნიშვნელობა მეტია ან ტოლია განსაზღვრული სიდიდის. ეს სიდიდე შეიძლება მიცემულ იქნას ან როგორც კონსტანტა ანდა მიწოდებულ იქნას „L“ შესასვლელზე. (შენიშვნა. პროგრამაში ტექსტის ნაწილი დაფარულია ნახატით).




3.6. მათემატიკა

3.6.1. შეკრების ოპერაცია (SUM)




შეკრების ოპერაცია აფორმირებს Q გამოსასვლელზე იმ მნიშვნელობას, რომელიც ტოლია I1 და I2 შესასვლელებზე არსებული მნიშვნელობების ჯამისა.

სქემაზე ბლოკის შექმნა ხდება მისი გადაცურებით ელემენტების ბიბლიოთეკიდან. ბლოკს არ აქვს პარამეტრები.




3.6.2. გამრავლების ოპერაცია (MUL)




გამრავლების ოპერაცია აფორმირებს Q გამოსასვლელზე იმ მნიშვნელობას, რომელიც ტოლია I1 და I2 შესასვლელებზე არსებული მნიშვნელობების ნამრავლისა.

სქემაზე ბლოკის შექმნა ხდება მისი გადაცურებით ელემენტების ბიბლიოთეკიდან.




ბლოკს არა აქვს პარამეტრები

3.6.3. გამოკლების ოპერაცია (SUB)




გამოკლების ოპერაცია აფორმირებს Q გამოსასვლელზე იმ მნიშვნელობას, რომელიც ტოლია I1 და I2 შესასვლელებზე არსებული მნიშვნელობების სხვაობისა.

სქემაზე ბლოკის შექმნა ხდება მისი გადაცურებით ელემენტების ბიბლიოთეკიდან.




ბლოკს არა აქვს პარამეტრები.

3.6.4. გაყოფის ოპერაცია (DIV)



გაყოფის ოპერაცია აფორმირებს Q გამოსასვლელზე იმ მნიშვნელობას, რომელიც ტოლია I1 მნიშვნელობის განაყოფის I2 შესასვლელზე არსებულ მნიშვნელობაზე.


სქემაზე ბლოკის შექმნა ხდება მისი გადაცურებით ელემენტების ბიბლიოთეკიდან.



ბლოკს არა აქვს პარამეტრები

3.7. შედარებები

შედარების ბლოკები (Comparators)




შედარების ბლოკი ადარებს ერთმანეთს ორ ანალოგურ სიგნალს, რომლებიც მიეწოდება "I1" და "I2" შესასვლელებზე არჩეული პირობის შესასრულებლად და ამ პირობის შესარულების შემთხვევაში, გამოსცევს Q გამოსასვლელზე ლოგიკურ ერთიანს.


პირობის სახეებია:

2. ტოლია ($I1 = I2$);
3. მეტია ($I1 > I2$);
4. ნაკლებია ($I1 < I2$);
5. მეტია ან ტოლია ($I1 \geq I2$);
6. ნაკლებია ან ტოლია ($I1 \leq I2$).

სქემაზე ბლოკის შექმნა ხდება მისი გადართევით ელემენტების ბიბლიოთეკიდან.



შედარების ტიპის არჩევა ხდება ბლოკის რედაქტორის მეშვეობით.



3.8. გადამრთველები


დღეისათვის პროგრამაში რეალიზებულია სამი გადამრთველი: SWITCH, MUX, DMS.

3.7.1.SWITCH

SWITCH - წარმოადგენს გადამრთველს, რომელიც ირჩევს ერთერთს ორი შესასვლელისგან და გადასცევს გამოსასვლელზე. იმისდამიხედვით თუ რა დონეა "S" შესასვლელზე "Q" გამოსასვლელზე მონაცემები გამოვა ან „0“ ან „1“ შესასვლელიდან. "S" შესასვლელზე ლოგიკური ნულის არსებობის შემთხვევაში "Q" გამოსასვლელზე


სიგნალი მიეწოდება „0“ შესასვლელიდან და შესაბამისად "S" შესასვლელზე ლოგიკური ერთიანის არსებობის შემთხვევაში "Q" გამოსასვლელზე სიგნალი მიეწოდება „1“ შესასვლელიდან. გადასართველ სიგნალებად შეიძლება მოგვევლინოს მონაცემთა შემდეგი სახის ტიპები: Float, Integer, Long Integer, String, Unsigned Long Integer.

მიუერთებული ბლოკი გამოიყურება შემდეგნაირად:





ბლოკის შექმნა სხემაზე ხორციელდება მისი გადაცოცებით ელემენტების ბიბლიოთეკიდან. ბლოკს არ აქვს ასაწყობი პარამეტრები.

პროგრამის ავტორის აღწერა ბლოკზე ინფორმაციის გამოძახებისას.



ანალოგური გადამრთველის დანიშნულებაა გამოსასვლელზე სიგნალის გადაცემა ერთერთი ანალოგური შესასვლელიდან. იმისდამიხედვით თუ რა დონეა "S" შესასვლელზე "Q" გამოსასვლელზე სიგნალები გამოვა ან „0“ ან „1“ შესასვლელიდან. ლოგიკური ნულის არსებობის შემთხვევაში ამ გამოსასვლელზე სიგნალი გამოდის „0“ შესასვლელიდან, ხოლო ლოგიკური ერთიანის არსებობის შემთხვევაში "Q" გამოსასვლელზე სიგნალი გამოვა „1“ შესასვლელიდან.






ბლოკის შექმნა სხემაზე ხორციელდება მისი გადაცოცებით ელემენტების ბიბლიოთეკიდან. ბლოკს არ აქვს ასაწყობი პარამეტრები.


3.7.2. MUX

MUX წარმოსდგენს გადამრთველს ერთერთს მრავალისაგან. იმისდამიხედვით თუ რა რიცხვია მიწოდებული "Sel" შესასვლელზე "v0", "v1", "v2", ..., „vX“ შესასვლელებიდან სიგნალები გადაცემულ იქნება „Q“ 7 ემთხვევა Sel" შესასვლელზე მიწოდებულ რიცხვს. მაგ. თუ კი "Sel" შესასვლელზე მიწოდებულ რიცხვს 2, მაშინ „Q“ გამოსასვლელზე გადაეცემა სიგნალი "v2" შესასვლელიდან. გადასართველ სიგნალებად შეიძლება მოგვევლინოს მონაცემთა შემდეგი სახის ტიპები: Float, Integer, Long Integer, String, Unsigned Long Integer.

მიუერთებული ბლოკი გამოიყურება შემდეგნაირად:



ბლოკის შექმნა სხემაზე ხორციელდება მისი გადაცოცებით ელემენტების ბიბლიოთეკიდან. ბლოკს აქვს ასაწყობი პარამეტრი "Количество входов" (შესასვლელების რაოდენობა). აუცილებელი რაოდენობის შესასვლელების დაყენებისათვის საჭიროა ორმაგი დაწკაპება თავის მარცხენა ღილაკით ბლოკზე და თავის საშუალებითვე აუცილებელი რაოდენობის შესასვლელების არჩევა და შემდეგ ღილაკზე "OK" დაჭერა.




პროგრამის ავტორის აღწერა ბლოკზე ინფორმაციის გამოძახებისას.

ბლოკის დანიშნულებაა ნებისმიერი ტიპის სიგნალის გადაცემა ერთერთი რომელიმე შესასვლელიდან გამოსასვლელზე. შესასვლელის არჩევა დამოკიდებულია "Sel" შესასვლელზე მოდებული რიცხვითი მნიშვნელობისა. მოდულის აწყობებში შეიძლება შესასვლელების რაოდენობის მითითება.


3.7.3. DMS

DMS წარმოადგენს გადამრთველს ერთისა მრავალზე. იმისდამხედვით თუ რა რიცხვია მიწოდებული "Sel" შესასვლელზე "v" შესასვლელიდან სიგნალი გადაცემულ იქნება ერთერთ "Q0", "Q1", "Q2", ..., "QX" გამოსასვლელზე. სიგნალი "v" შესასვლელიდან გადაეცემა იმ გამოსასვლელს რომლის ნომერიც ემთხვევა "Sel" შესასვლელზე მოდებულ რიცხვს. მაგ. თუ კი "Sel" შესასვლელზე მივაწოდებთ რიცხვს 2, მაშინ სიგნალი "v" შესასვლელიდან გადაეცემა "Q2" გამოსასვლელზე. გადასართველ სიგნალებად შეიძლება მოგვევლინოს მონაცემთა შემდეგი სახის ტიპები: Float, Integer, Long Integer, String, Unsigned Long Integer.

მიუერთებული ბლოკი გამოიყურება შემდეგნაირად



ბლოკის შექმნა სქემაზე ხორციელდება მისი გადაცოცებით ელემენტების ბიბლიოთეკიდან. ბლოკს აქვს ასაწყობი პარამეტრი "Количество выходов" (გამოსასვლელების რაოდენობა). აუცილებელი რაოდენობის გამოსასვლელების დაყენებისათვის საჭიროა ორმაგი დაწკაპება თავის მარცხენა ღილაკით ბლოკზე და თავისვე საშუალები შესასვლელების რაოდენობის არჩევა და შემდეგ "OK" ღილაკზე თითის დაჭერა.



პროგრამის ავტორის აღწერა ბლოკზე ინფორმაციის გამოძახებისას.


ბლოკის დანიშნულებაა ნებისმიერი ტიპის სიგნალის გადაცემა “V” შესასვლელიდან რომელიმე ერთერთ გამოსასვლელზე. შესასვლელის არჩევა დამოკიდებულია "Sel" შესასვლელზე მოდებული რიცხვითი მნიშვნელობისა. მოდულის აწყობებში შეიძლება გამოსასვლელების რაოდენობის მითითება.

თავი 4. LAD ელემენტების ბიბლიოთეკა


4.1. ბაზური ელემენტები

4.1.1. კონტაქტი

კონტაქტი ასახავს კონტროლერის ანდა შუალედური და სპეციალური რელეების ციფრული შესასვლელების მდგომარეობას. არსებობს კონტაქტის ორი სახეობა: ნორმალურად-გახსნილი და ნორმალურად-ჩაკეტილი.




ნორმალურად-გახსნილი



ნორმალურად-ჩაკეტილი


სქემაზე კონტაქტი შეიძლება შეიქმნას რამოდენიმე გზით:

1. ელემენტების ბიბლიოთეკიდან მისი სქემაში გადაცოცვით. ამასთან, კონტაქტი იქმნება მიმაგრების გარეშე;
2. თავისუფალი ციფრული შესასვლელ-გამოსასვლელის, დაყენებული აპარატურის ხეში არსებული შუალედური ანდა სპეციალური რელეს ციფრული შესასვლელის სქემაში გადაცოცვით. ამასთან, კონტაქტი მაშინვე იქმნება მიმაგრებული იმ მოწყობილობასთან, რომელიც გადმოიტანეს.




კონტაქტების მიმაგრება და გადამაგრება ხდება შემდეგი მეთოდით:

1. თავისუფალი ციფრული შესასვლელ-გამოსასვლელის კონტაქტზე, ანდა დაყენებული აპარატურის ხეში არსებულ შუალედური და სპეციალური რელეს ციფრულ შესასვლელზე გადაცოცებით;
2. ბლოკის რედაქტორის საშუალებით.




მიმაგრება ხდება საჭირო დაყენებულ მოწყობილობაზე ორმაგი დაწკაპებით.

4.1.2. გრაგნილი



გრაგნილი, თუ ის მიმაგრებულია კონტროლერის ციფრულ შესასვლელ-გამოსასვლელზე, მართავს ამ გამომყვანის მდგომარეობას. თუ კი გამოიყენება შუალედურრელედ - მართავს თავისი კონტაქტებით.

გრაგნილის შექმნა სქემაზე ხდება მისი გადაცოცებით ელემენტების ბიბლიოთეკიდან. ამასთან გრაგნილი არ იქნება მიმაგრებული არსად.



გრაგნილის მიმაგრება და გადამაგრება ხდება შემდეგნაირად:


1. თავისუფალი ციფრული შესასვლელ-გამოსასვლელის გადაცოცებით გრაგნილზე;
2. ბლოკის რედაქტორის დახმარებით.

Текущая привязка
<Pin2>
Комментарий

Тип	Описание	Комментарии
Промежуточное реле	K1	
Входы-выходы контроллера	<Pin3>	
Входы-выходы контроллера	<Pin4>	
Входы-выходы контроллера	<Pin5>	
Входы-выходы контроллера	<Pin6>	
Входы-выходы контроллера	<Pin7>	
Входы-выходы контроллера	<Pin8>	
Входы-выходы контроллера	<Pin9>	
Входы-выходы контроллера	<Pin10>	
Входы-выходы контроллера	<Pin11>	
Входы-выходы контроллера	<Pin12>	
Входы-выходы контроллера	<Pin13>	

მიმაგრება ხდება საჭირო შესასვლელ-გამოსასვლელზე ორმაგი დაწკაპებით. მენიუს პირველ სტრიქონში ყოველთვის იქნება შემოთავაზებული შუალედური რელეს შექმნა პირველი თავისუფალი ინდექსით. კონტროლერის შესასვლელ-გამოსასვლელთან მიმაგრების შემდეგ გრაგნილის კონტაქტების გამოყენება აღარ შეიძლება. შუალედური რელეს შექმნის დროს რელეს კონტაქტების რაოდენობა შეუზღუდავია და მათი გამოყენება შესაძლებელია სქემის ნებისმიერ ადგილას, შუალედური რელეს შექმნის შემდეგ.


4.1.3. წინა ფრონტის გამოყოფა



რელეს დანიშნულებაა იმპულსის წინა ფრონტის გამოყოფის უზრუნველყოფა. რელეს შესასვლელზე ძაბვის გამოჩენის მომენტში რელე ამუშავდება პროგრამის ერთი ციკლის დროის განმავლობაში.


4.2. სპეციალური რელეები

4.2.1. ორსტაბილური რელე



ორსტაბილური რელე წარმოადგენს რელეს, რომელსაც გააჩნია ორი მდგრადი მდგომარეობა. «Вкл» (ჩართვა) შესასვლელზე სიგნალის მიწოდების შემთხვევაში რელეს გრაგნილი ჩაირთვება, ხოლო «Откл» (გამორთვა) შესასვლელზე სიგნალის მიწოდების დროს კი რელეს გრაგნილი გამოირთვება. ორთავე შესასვლელზე სიგნალის არსებობის ან არ არსებობის შემთხვევაში კი რელეს გრაგნილის მდგომარეობა არ იცვლება.


ორსტაბილური რელე სქემაში იქმნება მისი გადაცოცებით ელემენტების ბიბლიოთეკიდან. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ გრაგნილი იქმნება მიმაგრების გარეშე.



ორსტაბილური რელე, კონტროლერის ციფრულ შესასვლელ-გამოსასვლელთან მიმაგრების შემთხვევაში მართავს ამ გამომყვანის მდგომარეობას. თუ გამოყენებულია როგორც შუალედურ რელე - მართავს თავისი კონტაქტებით.

რელეს მიმაგრება და გადამაგრება ხორციელდება შემდეგი წესის მიხედვით:


1. გრაფილზე თავისუფალი ციფრული შესასვლელ-გამოსასვლელის გადაცურებით;
2. ბლოკის რედაქტორის დახმარებით.



მიმაგრება ხდება ორმაგი დაწკაპებით კონტროლერის საჭირო შესასვლელ-გამოსასვლელზე. მენიუს პირველ სტრიქონში ყოველთვის შემოთავაზებულ იქნება შუალედური რელეს შექმნა პირველი თავისუფალი ინდექსით. კონტროლერის შესასვლელ-გამოსასვლელთან მიმაგრებისას გრაფილის კონტაქტების გამოყენება აღარ იქნება შესაძლებელი. როგორც შუალედურ რალედ შექმნის დროს, რელეს


კონტაქტების რაოდენობა შეუზღუდავია და ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნას სქემის ნებისმიერ ადგილას შექმნის შემდეგ.

4.2.2. დროის რელეები




დროის რელე წარმოადგენს ჩართვაზე (1,3) ანდა გამორთვაზე დაყოვნებით (2,4) მოქმედ რელეს«Пуск» (გაშვება)შესასვლელზე სიგნალის ცვლილების შემთხვევაში.

რელეს მუშაობის დროის დიაგრამები:




რელეს მუშაობის დროის დიაგრამა ჩართვაზე დაყოვნებით.



რელეს მუშაობის დროის დიაგრამა გამორთვაზე დაყოვნებით.


დროის რელე სქემაში იქმნება მისი გადაცოცებით ელემენტების ბიბლიოთეკიდან. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ გრაგნილი იქმნება მიმაგრების გარეშე.

დროის რელე, კონტროლერის ციფრულ შესასვლელ-გამოსასვლელთან მიმაგრების შემთხვევაში მართავს ამ გამომყვანის მდგომარეობას. თუ გამოყენებულია როგორც შუალედურ რელედ - მართავს თავისი კონტაქტებით.



რელეს მიმაგრება და გადამაგრება ხორციელდება შემდეგი წესის მიხედვით:


1. გრაგნილზე თავისუფალი ციფრული შესასვლელ-გამოსასვლელის გადაცურებით;
2. ბლოკის რედაქტორის დახმარებით:




მიმაგრება ხდება ორმაგი დაწკაპებით კონტროლერის საჭირო შესასვლელ-გამოსასვლელზე. მენიუს პირველ სტრიქონში ყოველთვის შემოთავაზებულ იქნება შუალედური რელეს შექმნა პირველი თავისუფალი ინდექსით. კონტროლერის შესასვლელ-გამოსასვლელთან მიმაგრებისას გრაგნილის კონტაქტების გამოყენება აღარ იქნება შესაძლებელი. როგორც შუალედურ რელედ შექმნის დროს, რელეს კონტაქტების რაოდენობა შეუზღუდავია და ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნას სქემის ნებისმიერ ადგილას შექმნის შემდეგ.

დროის დავალება შესაძლებელია ორი გზით:

1. გარე ანალოგური სიგნალით (3,4);
2. კონსტანტის სახით (1,2).



4.2.3. გენერატორები




გენერატორი წარმოადგენს რელეს, რომლის გადართვაც ხდება პერიოდულად მოცემული დაყენებებით, როდესაც შესასვლელზე «Пуск» (გაშვება) მიეწოდება გაშვების სიგნალი.


გენერატორის მუშაობის დროის დიაგრამები ნაჩვენებია ქვემოთ:



ერთვიბრატორის მუშაობის დროის დიაგრამა.




სიმეტრიული მულტივიბრატორის მუშაობის დროის დიაგრამა.



არასიმეტრიული მულტივიბრატორის მუშაობის დროის დიაგრამა.


გენერატორი სქემაში იქმნება მისი გადაცოცებით ელემენტების ბიბლიოთეკიდან. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ გრავნილი იქმნება მიმაგრების გარეშე.

გენერატორი, კონტროლერის ციფრულ შესასვლელ-გამოსასვლელთან მიმაგრების შემთხვევაში მართავს ამ გამომყვანის მდგომარეობას. თუ გამოყენებულია როგორც შუალედურ რელედ - მართავს თავისი კონტაქტებით.



გენერატორის მიმაგრება და გადამაგრება ხორციელდება შემდეგი წესის მიხედვით:

1. გენერატორზე თავისუფალი ციფრული შესასვლელ-გამოსასვლელის გადაცურებით;
2. ბლოკის რედაქტორის დახმარებით:




მიმაგრება ხდება ორმაგი დაწკაპებით კონტროლერის საჭირო შესასვლელ-გამოსასვლელზე. მენიუს პირველ სტრიქონში ყოველთვის შემოთავაზებულ იქნება შუალედური რელეს შექმნა პირველი თავისუფალი ინდექსით. კონტროლერის შესასვლელ-გამოსასვლელთან მიმაგრებისას გრაგნილის კონტაქტების გამოყენება ადარ იქნება შესაძლებელი. როგორც შუალედურ რელედ შექმნის დროს, რელეს კონტაქტების რაოდენობა შეუზღუდავია და ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნას სქემის ნებისმიერ ადგილას შექმნის შემდეგ.

პარამეტრების დავალება შესაძლებელია ორი გზით:

1. გარე ანალოგური სიგნალით);
2. კონსტანტის სახით.

4.2.4. შედარების რელეები




შედარების რელეს დანიშნულებაა ანალოგური სიგნალის შედარება რომლებიც მოდებულია "A" და "B" შესასვლელებზე არჩეულიპირობის თანახმად და ამ პირობის შესრულების შემთხვევაში თავისი გრაგნილის ჩართვა.

პირობების სახეები:

1. ტოლია ("A" = "B");
2. მეტია ("A" > "B");
3. ნაკლებია ("A" < "B");
4. მეტია ან ტოლია ("A" >= "B");
5. ნაკლებია ან ტოლია ("A" <= "B");
6. არ არის ტოლი ("A" ~ "B").


შედარების რელე სქემაში იქმნება მისი გადაცოცებით ელემენტების ბიბლიოთეკიდან. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ გრაგნილი იქმნება მიმაგრების გარეშე.

შედარების რელე, კონტროლერის ციფრულ შესასვლელ-გამოსასვლელთან მიმაგრების შემთხვევაში მართავს ამ გამომყვანის მდგომარეობას. თუ გამოყენებულია როგორც შუალედურ რელედ - მართავს თავისი კონტაქტებით.



გენერატორის მიმაგრება და გადამაგრება ხორციელდება შემდეგი წესის მიხედვით:


1. გენერატორზე თავისუფალი ციფრული შესასვლელ-გამოსასვლელის გადაცურებით;
2. ბლოკის რედაქტორის დახმარებით;



მიმაგრება ხდება ორმაგი დაწკაპებით კონტროლერის საჭირო შესასვლელ-გამოსასვლელზე. მენიუს პირველ სტრიქონში ყოველთვის შემოთავაზებულ იქნება შუალედური რელეს შექმნა პირველი თავისუფალი ინდექსით. კონტროლერის შესასვლელ-გამოსასვლელთან მიმაგრებისას გრაფილის კონტაქტების გამოყენება ადარ იქნება შესაძლებელი. როგორც შუალედურ რელედ შექმნის დროს, რელეს კონტაქტების რაოდენობა შეუზღუდავია და ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნას სქემის ნებისმიერ ადგილას შექმნის შემდეგ.

4.3. ანალოგური ბლოკები

4.3.1. მათემატიკა




ბლოკი „Математика“ წარმოადგენს ანალოგურ ბლოკს, რომელიც ახდენს მათემატიკურ მოქმედებებს “A” და “B” შესასვლელებზე მიწოდებულ ანალოგურ სიგნალებზე. ოპერაციების შედეგი გაიცემა გამოსასვლელზე.

შესაძლებელია ოთხი სახის მათემატიკური ოპერაცია:


1. შეკრება (“A” + “B”);

2. გამოკლება (“A” - “B”);
3. გაყოფა (“A” / “B”);
4. გამრავლება (“A” * “B”).

მათემატიკის ბლოკის შექმნა სქემაზე ხორციელდება მისი გადაცოცებით ელემენტების ბიბლიოთეკიდან.




მათემატიკური ოპერაციის სახეობის არჩევა ხდება ბლოკის რედაქტორიდან.




4.3.2. მოვლელები (ეს თემა იხილეთ FBD ელემენტების ბიბლიოთეკაში)

4.3.3. ანალოგურიგადამრთველი




ანალოგური გარდამქმნელის ბლოკის დანიშნულებაა „0“ და „1“ შესასვლელზე მოდებული ორი ანალოგური სიგნალებიდან ერთერთის გადაცემა გამოსასვლელზე, იმისდამიხედვით არსებობს თუ არა სიგნალი „S“ შესასვლელზე. თუ „S“ შესასვლელზე სიგნალი არ არსებობს, მაშინ სიგნალი გამოსასვლელზე გადაეცემა „0“ შესასვლელიდან, ხოლო თუ არსებობს - „1“ შესასვლელიდან. ბლოკის შექმნა სქემაზე ხორციელდება მისი გადაცოცებით ელემენტების ბიბლიოთეკიდან.



ბლოკს არააქვს ასაწყობი პარამეტრები


4.3.4. კონტროლერის ანალოგური შესასვლელი



კონტროლერის ანალოგური შესასვლელის დანიშნულებაა სქემაზე ანალოგური სიგნალის ასახვა, რომელიც მოდებულია კონტროლერის ერთერთ ანალოგურ შესასვლელზე. ერთიდაიგივე შესასვლელი შეიძლება გამოყენებულ იქნას სქემაში შეუზღუდავი რაოდენობით.


ანალოგური შესასვლელი სქემაზე შეიძლება შექმნილ იყოს რამოდენიმე გზით:

1. ელემენტების ბიბლიოთეკიდან მისი სქემაში გადაცურებით. ამასთან კონტროლერის შესასვლელი იქმნება მიმაგრების გარეშე.
2. დაყენებული აპარატურის ხედან კონტროლერის ნებისმიერი ანალოგიური შესასვლელის გადაცურებით სქემაში. ამასთან კონტროლერის ანალოგიური შესასვლელი იქმნება მაშინვე მიმაგრებული.



ანალოგიური შესასვლელის მიმაგრება და გადამაგრება ხდება შემდეგნაირად:

1. კონტროლერის თავისუფალი ანალოგიური შესასვლელის გადაცურება ანალოგიურ შესასვლელზე;
2. ბლოკის რედაქტორის დახმარებით.




4.3.5. კონტროლერის ანალოგური გამოსასვლელი



კონტროლერის ანალოგური გამოსასვლელის დანიშნულებაა კონტროლერის ერთერთ გამოსასვლელზე, რომელსაც შეუძლია იმუშაოს როგორც ანალოგიური გამომყვანი - ანალოგური სიდიდის მიწოდება. კონტროლერის ანალოგური გამოსასვლელი წარმოადგენს ციფრულ შესასვლელ-გამოსასვლელს, რომელიც მუშაობს განივიმპულსური მოდულიაციის რეჟიმში. დაყენებული აპარატურის ხეში ასეთი შესასვლელ-გამოსასვლელი აღნიშნულია წარწერით „(ШИМ)«. სქემაში ის ანალოგური გამოსასვლელი, რომელიც მიმაგრებულია კონტროლერის კონკრეტულ გამოსასვლელთან შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ერთჯერ.

კონტროლერის ანალოგური გამოსასვლელის შექმნა სქემაში ხდება ელემენტების ბიბლიოთეკიდან მისი გადმოცურებით, ამასთან მისი შექმნა ხდება მიმაგრების გარეშე.



კონტროლერის ანალოგური გამოსასვლელის მიმაგრება და გადამაგრება ხდება შემდეგნაირად:

1. ანალოგურ გამოსასვლელზე „(ШИМ)«-ით აღნიშნული თავისუფალი შესასვლელ-გამოსასვლელის გადაცურებით;
2. ბლოკის რედაქტორის დახმარებით.

Параметры Информация

Текущая привязка
<Pin3>

Комментарий


Вход разрешения записи

Тип	Описание	Комментарии
Входы-выходы контроллера	<Pin3>	
Входы-выходы контроллера	<Pin5>	
Входы-выходы контроллера	<Pin6>	
Входы-выходы контроллера	<Pin9>	
Входы-выходы контроллера	<Pin10>	

Готово Отмена

გალოკის (ნიშნულის) «Вход разрешения записи» (ჩაწერის ნებართვის შესასვლელი) არსებობის დროს გამოსასვლელზე ჩაწერა შესაძლებელია მხოლოდ EN შესასვლელზე მაღალი დონის არსებობის შემთხვევაში.

4.3.6. ანალოგური შემაერთებელის შესასვლელი



ანალოგური შემაერთებელი გამოიყენება ანალოგური წრედების შეერთებისათვის დაფებს შორის და ასევე დაფების შიდა შეერთებებისთვისაც.

ანალოგიური შემაერთებლის შესასვლელი სქემაზე იქმნება მისი გადაცოცებით ელემენტების ბიბლიოთეკიდან. ამასთან შემაერთებელს ავტომატურად ენიჭება მორიგი თავისუფალი ინდექსი. ანალოგური შემაერთებლის თვითოეულ შესასვლელს შეიძლება შეესაბამებოდეს ანალოგიური შემაერთებლის ნებისმიერი რაოდენობის გამოსასვლელი.

Параметры Информация

Текущая привязка
AC1

Комментарий

Вход разрешения записи

Готово Отмена

გალოჩკის (ნიშნულის) «Вход разрешения записи» (ჩაწერის ნებართვის შესასვლელი) არსებობის შემთხვევაში შემაერთებელზე ჩაწერა შესაძლებელია მხოლოდ EN შესასვლელზე მაღალი დონის არსებობის შემთხვევაში.


4.3.7. ანალოგური შემაერთებლის გამოსასვლელი



ანალოგური შემაერთებლის გამოსასვლელი გამოიყენება ანალოგური წრედების შეერთებისათვის როგორც დაფებს შიგნით ასევე დაფებს შორის. ანალოგური შემაერთებლის გამოსასვლელი ანალოგური შემაერთებლის შესასვლელის საპასუხო ნაწილია. თვითოეულ შემაერთებელზე შესაძლებელია ერთი შესასვლელი და შეუზღუდავი რაოდენობის გამოსასვლელი.

ანალოგური შემაერთებლის გამოსასვლელები სქემაზე შესაძლებელია შეიქმნას რამდენიმე გზით:

1. ელემენტების ბიბლიოთეკიდან მისი გადაცურებით. ამასთან ანალოგური შემაერთებლის გამოსასვლელი იქმნება მიმაგრების გარეშე;
2. ანალოგური შემაერთებლის სქემაზე დაყენებული აპარატურის ხესაგან მისი გადაცურებით. ამასთან, ანალოგური შემაერთებლის გამოსასვლელი იქმნება მაშინვე მიმაგრებული შემაერთებელთან.



კონტროლერის ანალოგური გამოსასვლელის მიმაგრება და გადამაგრება ხდება შემდეგნაირად:

1. ანალოგური შემაერთებლის შესასვლელზე დაყენებული მოწყობილობების ხისგან ანალოგური შემაერთებლის გადაცოცებით;
2. ბლოკის რედაქტორის გამოყენებით.

Параметры Информация

Текущая привязка



Комментарий

Тип	Описание	Комментарии
Аналоговый соединитель	АС1	
Аналоговый соединитель	АС2	
Аналоговый соединитель	АС3	

მიმაგრებახდება ორმაგი დაწკაპებით საჭირო შემაერთებელზე.

4.3.8. ჩქაროსნული მთვლეელი (ეს თემა იხილეთ FBD ელემენტების ბიბლიოთეკაში).


თავი. 5. პროგრამის ინტერფეისი



პროგრამის მთავარი მენიუს შემადგენლობაში შედის შემდეგი მენიუები:

1. მენიუ „Файл“ (ფაილი);
2. მენიუ „Проект“ (პროექტი);
3. მენიუ „Инструменты“ (ინსტრუმენტები);
4. მენიუ „Настройки“ (აწყოებები);
5. მენიუ „Помощь“ (დახმარება).


5.1. მენიუ „Файл” (ფაილი)



მენიუ „Файл” პროგრამის მთავარ მენიუში შეიცავს შემდეგ პუნქტებს:

- ❖ **Новый**(ახალი)– ემსახურება ახალი პროექტის შექმნას;
- ❖ **Открыть**(გახსნა) –ემსახურება ადრე შექმნილი პროექტის გახსნას. FLProg პროგრამის ფაილების შენახვა ხდება *.flp*გაფართოებით;
- ❖ **Сохранить**(შენახვა) –ემსახურება პროექტის შენახვას. თუ პროექტი ჯერ კიდევ არ შენახულა, შემოთავაზებული იქნება პროექტის შენახვის ადგილის შერჩევა. თუ კი პროექტი ადრე უკვე იყო შენახული, ანდა გახსნილი იყო დისკიდან, მაშინ შენახვა მოხდება იმავე ადგილას;
- ❖ **Сохранить как**(შენახვა როგორ) – ემსახურება პროექტის შენახვის ადგილის არჩევას. ამ მოქმედების შესრულებისას, შემოთავაზებულ იქნება შეირჩეს პროექტის შენახვის ადგილი და ყოველი შემდეგი შენახვა ყოველთვის მოხდება ამ ახალი ადგილის მიხედვით;
- ❖ **Закреть**(დახურვა) - ემსახურება მიმდინარე პროექტის დახურვას. ამასთან აუცილებელია დადასტურებულ იქნას სურვილი ახლად გახსნილ დიალოგურ ფანჯარაში პროექტის დახურვის საჭიროების შესახებ. მიმდინარედ ითვლება ის პროექტი, რომელიც იმყოფება აქტიურ ჩანართში.


5.2. მენიუ „Проект” (პროექტი)



მენიუ „Проект” პროგრამის მთავარ მენიუში შეიცავს შემდეგ პუნქტებს:

- ❖ **Проверить** (შემოწმება)-ემსახურება პროგრამის კორექტულობის შემოწმებას მიმდინარე პროექტში;
- ❖ **Компилировать**(კომპილირება) - ემსახურება პროგრამის კორექტულობის შემოწმებას მიმდინარე პროექტში, მის კომპილიაციას და მიღებული სკეჩის გადაცემას Arduino -ს IDE-ში, ანდა მის შენახვას დისკზე (დამოკიდებულია პროგრამის აწყობებზე).

5.3. მენიუ „Инструменты” (ინსტრუმენტები)




მენიუ „Инструменты” პროგრამის მთავარ მენიუში შეიცავს შემდეგ პუნქტებს:

- ❖ **Монитор СОМ-порта** (COM-პორტის მონიტორი) - ემსახურება კომპიუტერის RS-232 პორტის მონიტორისახალი ფანჯრის გახსნას;
- ❖ **Запись кодов кнопок ИК пульта**(ინფრაწითელი (იწ) პულტის ღილაკების კოდების ჩაწერა) - ემსახურება დისტანციური მართვის პულტის ღილაკების სკანირებისა და კოდების შენახვის ინსტრუმენტის გაშვებას;
- ❖ **Шины данных**(მონაცემთა სალტე) - ემსახურება 1-Wire და I2C სალტეებთან მიერთებული მოწყობილობების სკანირების ინსტრუმენტის არჩევასა და გაშვებას;
- ❖ **Просмотр файла с устройствами**(ფაილების დათვალიერება მოწყობილობებთან) - ემსახურება სხვა დამხმარე მოწყობილობების გამოყენების შედეგად მიღებული მონაცემების ფაილის ნახვისა და რედაქტირების ინსტრუმენტის გაშვებას;
- ❖ **Часы реального времени**(რეალური დროის საათი) - ემსახურება რეალური დროის საათში დროის დაყენების ინსტრუმენტის გაშვებას;
- ❖ **Выгрузить описание передаваемых данных**(გადასაცემი მონაცემების აღწერის გადმოტვირთვა) - ემსახურება მიმდინარე პროექტისგან დაფის სხვადასხვა ინტერფეისებში გასაცემი მონაცემების ფაილში შენახვას მისი შემდგომში







სხვადასხვა პროექტებში გამოყენების მიზნით, როგორც მისაღები მონაცემებისა.

5.3.1. COM-პორტის მონიტორი



COM-პორტის მონიტორი განკუთვნილია კომპიუტერის RS-232 პორტთან მუშაობისათვის:

5.3.1.1. პორტის მართვის არე

- ❖ ღილაკი  ემსახურება აქტიური COM-პორტების სიის განახლებას;
- ❖ ჩამოშლადი სია  COM3 ემსახურება აქტიური COM-პორტებისგან პორტის ნომრის ამორჩევას;
- ❖ ჩამოშლადი სია  9600 ემსახურება არჩეულ COM-პორტთან მუშაობის სიჩქარის არჩევას;
- ❖ ღილაკი  ემსახურება არჩეული COM-პორტთან შეერთებას;
- ❖ ღილაკი  ემსახურება COM-პორტებისაგან გამორთვისას;
- ❖ ღილაკი  ემსახურება მიღებული ინფორმაციის ასახვის არეს წაშლას.

5.3.1.2. მიღებული ინფორმაციის ასახვის არე

The screenshot shows a software interface with four columns: ASCII, DEC, HEX, and BIN. Each column has a text input field with a vertical scrollbar and a 'Send' button below it. The ASCII column has a horizontal scrollbar. The buttons are labeled 'Send ASCII', 'Send DEC', 'Send HEX', and 'Send BIN'.

ველში, „ASCII” ინფორმაცია, რომელიც მიღებულია COM-პორტებისაგან, აისახება ASCII კოდში. ველებში “DEC”, “HEX”, “BIN” მიღებული ინფორმაცია აისახება შესაბამისად ათობით, თექვსმეტობით და ორობით ფორმატებში.


5.3.1.3. ინფორმაციის გადაცემის არე

The screenshot shows a software interface with four columns: ASCII, DEC, HEX, and BIN. Each column has a text input field and a 'Send' button below it. The buttons are labeled 'Send ASCII', 'Send DEC', 'Send HEX', and 'Send BIN'.


ის ინფორმაცია, რომელიც განკუთვნილია COM-პორტში გადასაცემად, ინფორმაციის შეტანის ველებში შეიტანება შესაბამის ფორმატში. ღილაკები, რომლებიც განლაგებულია შეტანის ველების ქვემოთ, ემსახურება მონაცემების გაგზავნას შესაბამისი ველებისგან.

5.3.2. ინფრაწითელი (იწ) პულტის კოდების ჩაწერა

ინსტრუმენტთან - «Запись кодов кнопок ИК-пульта» (იწ (ინფრაწითელი) პულტის ღილაკების კოდების ჩაწერა) მუშაობა შედგება ოთხი ბიჯისაგან:



❖ **ბიჯი 1** - კონტროლერის არჩევა (Arduino-ს დაფა);




❖ **ბიჯი 2** - დაფის გამომყვანის არჩევა, რომელზედაც მიერთებული იქნება იწ-მიმღები;


❖ **ბიჯი 3** - კონტროლერში სკეტჩის ჩატვირთვა. ჩატვირთვის შემდეგ Arduino IDE აცილებელია დაიხუროს;




❖ ბიჯი 4 - იწ პულტის კოდების წაკითხვა.




აუცილებელია იმ COM-პორტის არჩევა, რასთანაც მიერთებული იქნება დაფა და შეერთების ღილაკზე დაჭერა (1). ამის შემდეგ უნდა მივმართოთ იწ პულტი მიმღებისკენ და დავაჭიროთ თითო პულტის იმ ღილაკს, რომლის კოდიც საჭიროა წაკითხულ იქნას. ველში „Производитель» (მწარმოებელი) (3) გამოჩნდება პულტის მწარმოებელი. ველში »Код» (კოდი) გამოჩნდება დაჭერილი ღილაკის კოდი (4). პროექტში საჭირო ღილაკის არჩევის გამარტივების მიზნით ველში «Пульт» (პულტი) (2) შეიძლება ჩაიწეროს პულტის დასახელება, ხოლო ველში «Описание» (აღწერა) (5) შეიძლება ჩაიწეროს ამ ღილაკის დასახელება. რეკომენდირებულია, რომ დავაჭიროთ ღილაკს რამოდენიმეჯერ და დავრწმუნდეთ, რომ ველში »Код» (კოდი) არ ხდება ცვლილებები და მხოლოდ ამის შემდეგ დავაჭიროთ თითო «Добавить» (დამატება) (6). ჩანაწერი კოდის შესახებ გამოჩნდება ასახვის ველში (7). ნებისმიერ მომენტში ღილაკის აღწერა შეიძლება შეცვლილ იქნას დიალოგურ ფანჯარაში (10), რომელიც შეიძლება გამოძახებულ იქნას საჭირო ჩანაწერზე ორმაგი დაწკაპებით.



ასახვის ველში (7) პირველი ჩანაწერის გამოჩენის შემდეგ ჩამოშლად სიაში «Пульт» (პულტი)(2)გამოჩნდება ამ პულტის დასახელება. თუ ადრე უკვე ჩაწერილი იყო მონაცემები ამ პულტისგან, ამ შემთხვევაში შესაძლებელია ჩამოითვირთოსლილაკების ფაილშიადრე შენახული კოდები ღილაკის «Загрузить» (ჩატვირთვა)(8) გამოყენებით.


ღილაკების სკანირების დამთავრების შემდეგ აუცილებელია COM - პორტიდან ამორთვა ღილაკის  (1) დახმარებით და მიღებული მნიშვნელობების შენახვა ღილაკზე «Сохранить» (შენახვა)(9) დაჭერით. ყველა მონაცემების შენახვისათვის, რომლებიც ნებისმიერი ინსტრუმენტიდან იქნება მიღებული შესაძლებელია ერთიდაიგივე ფაილის გამოყენება.

5.3.3. მონაცემთა სალტეები




5.3.3.1. 1-Wire სალტის სკანირება

«Сканирование шины 1-Wire» (1-Wire სალტის სკანირება)ინსტრუმენტთან მუშაობა შედგება ოთხი ბიჯისაგან:



❖ ზიჯი 1 - კონტროლერის არჩევა (Arduino-ს დაფა);




❖ ზიჯი 2 - დაფის გამომყვანის არჩევა, რომელზედაც მიერთებული იქნება 1-Wire სალტე;


- ❖ ბიჯი 3 - კონტროლერში სკეჩის ჩატვირთვა. ჩატვირთვის შემდეგ Arduino IDE აცილებელია დაიხუროს;




- ❖ ბიჯი 4 - 1-Wire სალტესკანირება.




აუცილებელია COM-პორტის არჩევა, რასთანაც მიერთებული იქნება დაფა და შეერთების დილაკზე დაჭერა (1). გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ინფორმაციის გამოტანის ველში გამოჩნდება ჩანაწერი სალტესთან მიერთებული აპარატურის შესახებ. ველში «Адрес» (მისამართი) (2) ნაჩვენებია იქნება მოწყობილობის მისამართი. ველში «Тип» (ტიპი) (3) – მოწყობილობის ტიპი, ხოლო ველში «Текущее значение» (მიმდინარე მნიშვნელობა) (4) - პარამეტრის მნიშვნელობა, რომელიც გადმოიცემა მოწყობილობის მიერ. ნებისმიერ მოწყობილობაზე ორმაგი დაწკაპებით შეგვიძლია გამოვიძახოთ კომენტარების «Комментарий» (კომენტარები) ველის შევსების ფანჯარა (5).




საღტის სკანირების დამთავრების შემდეგ აუცილებელია COM - პორტიდან ამორთვა ღილაკის  (1) დახმარებით და მიღებული მნიშვნელობების შენახვა ღილაკზე «Сохранить» (შენახვა)(6) დაჭერით. ყველა მონაცემების შენახვისათვის, რომლებიც ნებისმიერი ინსტრუმენტიდან იქნება მიღებული შესაძლებელია ერთიდაიგივე ფაილის გამოყენება.

5.3.3.2. I2C საღტის სკანირება



«Сканирование шины I2C» ინსტრუმენტთან მუშაობა შედგება ოთხი ბიჯისაგან:


- ❖ ბიჯი 1 - კონტროლერის არჩევა (Arduino-ს დაფა);





- ❖ **ბიჯი 2** – კონტროლერის არჩევის შემთხვევაში იქნება მითითება თუ როგორ უნდა შეერთდეს მოწყობილობა კონტროლერზე. აუცილებელია შემოწმდეს მოწყობილობის მიერთების სისწორე;
- ❖ **ბიჯი 3** - კონტროლერში სკეჩის ჩატვირთვა. ჩატვირთვის შემდეგ Arduino IDE აცილებელია დაიხუროს;




- ❖ **ბიჯი 4** - სკანირება I2C სალტის.




აუცილებელია COM-პორტის არჩევა, რასთანაც მიერთებული იქნება დაფა და შეერთების ღილაკზე დაჭერა () (1). რაღაც დროის გასვლის შემდეგ ინფორმაციის გამოტანის ველში(2) გამოჩნდება იმ მოწყობილობების მისამართები, რომლებიც მიერთებულია I2C სალტესთან. საჭირო მოწყობილობაზე ორჯერადი დაწკაპებით, შეგვიძლია გამოვიძახოთ კომენტარების შევსების ფანჯარა არჩეული მოწყობილობისთვის.



I2C სალტის სკანირების დამთავრების შემდეგ აუცილებელია COM - პორტიდან ამორთვა ღილაკზე  (1) დახმარებით და მიღებული მნიშვნელობების შენახვა ღილაკზე «Сохранить» (შენახვა)(3) დაჭერით. ყველა მონაცემების შენახვისათვის, რომლებიც ნებისმიერი ინსტრუმენტიდან იქნება მიღებული შესაძლებელია ერთიდაიგივე ფაილის გამოყენება.

5.3.4. მოწყობილობებისაგან შემდგარი ფაილის დათვალიერება


ინსტრუმენტი«Просмотр Файла с устройствами»(ფაილის დათვალიერება მოწყობილობებით)გამოიყენება სხვა ინსტრუმენტების დახმარებით მიღებული მონაცემთა ფაილის ნახვისა და რედაქტირებისათვის.



ამ ინსტრუმენტის დახმარებით შესაძლებელია:

- ❖ შეცვლილ იქნას ინფორმაცია ჩანაწერის შესახებ. რედაქტირების ფანჯრის გარკვევა ხდება ჩანაწერზე ორჯერადი დაწკაპუნებულ შემთხვევაში;
- ❖ ჩანაწერის მოშორება შესაძლებელია ღილაკის «Удалить» (მოშორება)დახმარებით.

5.3.5. რეალური დროის საათები



5.3.5.1. DS1302 რეალური დროის საათის დაყენება

Установка часов реального времени

Шаг 1: Выберите контроллер

Шаг 2: Выберите пины контроллера к которым подключены часы

CLK (SCLK) DAT (I/O) RST(CE)


Комментарий

Шаг 3: Загрузите скетч с помощью Arduino IDE, и после загрузки закройте ее.

Шаг 4: После нажатия кнопки "Далее" выберите порт к которому подключен контроллер, нажмите кнопку соединения и выставте время в часах. После этого можете использовать ваш контроллер как обычно

«Установка часов реального времени DS1302» ინსტრუმენტთან მუშაობა შედგება ოთხი ბიჯისაგან:


- ❖ ბიჯი 1 - კონტროლერის არჩევა (Arduino-ს პლატა);



- ❖ **ბიჯი 2** - კონტროლერის არჩევის შემდეგ აუცილებელია იმ პინების მითითება, რომელთანაც მიერთებული იქნება საათი;
- ❖ **ბიჯი 3** - კონტროლერში სკეჩის ჩატვირთვა. ჩატვირთვის შემდეგ Arduino IDE აცილებელია დაიხუროს;




ბიჯი4 - საათის დაყენება.




აუცილებელია COM-პორტის არჩევა, რასთანაც მიერთებულია დაფა და შეერთების ღილაკზე დაჭერა (1). გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ინფორმაციის გამოტანის ველში(2) გამოჩნდება დრო, მიმდინარე მომენტში, რომელიც დაყენებულია საათში. დროის ასახვის არეში კომპიუტერში (3) ნაჩვენები იქნება დრო, რაც დაყენებულია კომპიუტერზე. ღილაკის დახმარებით შეიძლება დროის სინქრონიზაცია საათში, იმ დროსთან რაც დაყენებულია კომპიუტერში. ხელით დაყენების ზონაში მოთავსებული ღილაკების დახმარებით შესაძლებელია დროის დაყენება(4) და თარიღის(5), შესაძლებელია აგრეთვე ჩვენთვის საჭირო დროის ხელით დაყენება.ღილაკის დაჭერისას წამები საათში განულდება.

5.3.5.2. DS1703 (DS3231) რეალური დროის საათის დაყენება




«Установка часов реального времени DS1307» (რეალური დროის საათის DS1307 დაყენება) ინსტრუმენტთან მუშაობა შედეგა ოთხი ბიჯისაგან:

❖ ბიჯი 1 - კონტროლერის არჩევა (Arduino-ს დაფა);




❖ ბიჯი 2 - კონტროლერის არჩევის შემდეგ აუცილებელია იმ პინების მითითება, რომელთანაც მიერთებული იქნება საათი;

❖ ბიჯი 3 - კონტროლერში სკეჩის ჩატვირთვა. ჩატვირთვის შემდეგ Arduino IDE აცილებელია დაიხუროს;




❖ ბიჯი 4 - საათის დაყენება.




აუცილებელია COM-პორტის არჩევა, რასთანაც მიერთებულია პლატა და შეერთების ღილაკზე დაჭერა (1). დროის ასახვის არეში საათებში (2) ნაჩვენები იქნება დრო მიმდინარე მომენტში, რომელიც დაყენებულია საათში. კომპიუტერში დროის ასახვის არეში (3) ნაჩვენები იქნება დრო, რომელიც დაყენებულია კომპიუტერში. ღილაკის დახმარებით შეიძლება დროის სინქრონიზაცია საათებში იმ დროსთან რაც დაყენებულია კომპიუტერში. ხელით დაყენების ზონაში მოთავსებული ღილაკების დახმარებით შეგვიძლია დავაყენოთ დრო (4) და თარიღი (5), შეგვიძლია ხელით დავაყენოთ ჩვენთვის საჭირო დრო.ღილაკის დაჭერის შემთხვევაში წამები საათში განულდება.

5.4.მენიუ „Настройки”(აწყობები)




5.4.1. პროგრამის აწყობა



პროგრამის აწყობა გავლენას ახდენს ყველა პროექტზე. აწყობა შეიცავს:


- ❖ **პროექტის ტიპს სიჩუმით (1).** აწყობა ადგენს, თუ რა ენა იქნება არჩეული სიჩუმით ახალი პროექტის შექმნის შემთხვევაში;
- ❖ **დაკავშირების ბადის ბიჯს (2).** ამ აწყობის მნიშვნელობა მიუთითებს, თუ რა მინიმალური მანძილი იქნება შემადგენელ ხაზებს შორის, იგი გავლენას ახდენს ასევე სქემის ბლოკების ზომებზე;
